სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 24 ოქტომბერი 2006 №246 (2868) ფასი 50 თეთრი

ტოპმიოლერმა აჭლასი და ნაკრების ძველი ალბომი გადაშალა

ბურდული, სირაძე და... დარასელიაც?

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უახლოესი მატჩი 15 ნოემბერს აქვს — კლაუს ტოპმიოლერის გუნდი თბილისში ამხანაგურად გაეჯიბრება ურუგვაის ნაკრებს.

შევიტყვეთ, რომ ტოპმიოლერი ექსპერიმენტული შემადგენლობის გამოძახებას არ აპირებს. თუმცა შესაძლოა, ნაკრებში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ერთიორ ფეხბურთელს უხმოს. იმის ალბათობა კი დიდია, რომ ტოპმიოლერმა 15 ნოემბერის მატჩისთვის აუე-ს დავით სირაძე და „ერეგბასის" ლადო ბურდული გამოიძახოს.

ტოპმიოლერი კიდევ ერთი ლეგიონერით დაინტერესდა — ყარაგანდის „შახტიორში" მოთამაშე ვიტალი დარასელიათი, ვისაც ეროვნულ ნაკრებში ათი მატჩი უთამაშია.

მოკლედ, თუ საურუგვაიო სიაში დარასელიაც იქნება, არ უნდა გავკვირდეს.

იბერია VS იბერია

საქართველო ესპანეთისთვის გაემზადა

ეგრეთ დოლაბერიძეს ფოტო

უგბიბანგლოდ ხდელი ეჭნება

გუშინ საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ის 22-კაცა შემადგენლობა გამოაცხადა, შაბათს, 28 ოქტომბერს საგაისო მსოფლიოს თასის შესარჩევ მატჩში ესპანეთს რომ დაახვედრებს. საამმატჩო შეკრება კი დღეს დაიწყება.

ესპანელებთან ჩვენებს არ ეყოლებათ ძირითადი დამრტყმელი ძალა პალიკო ჯიმშელაძე, უნივერსალი მორკინალი გია ლაბაძე და მელელოვე ირაკლი მაჩხანელი. თუ ლაბაძისა და ჯიმშელაძის გარეშე თამაშს ქართველები ასე თუ ისე მიჭვივნენ, ირაკლი მაჩხანელის არყოფნა შეტევაში უეჭველად დაეტყობათ. გუნდს დაუბრუნდნენ მორკინალი აქვსენტი გიორგაძე, ბურჯი დავით ხინჩაგაშვილი და შუამარბი რევაზ გიგაური.

შეგახსენებთ, რომ შაბათის მატჩი საგაისო მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაა. საქართველო — ესპანეთს შორის გამარჯვებული პორტუგალია — რუსეთს შორის უკეთესს შინ და გარეთ დაუპირისპირდება, ამათში უმჯობესი კი მსოფლიოს თასზე წავა.

ძირითადი შემადგენლობა

15 გიორგი შკინინი
14 გალხაზ ურჯუკაშვილი
13 რევაზ გიგაური
12 ირაკლი გიორგაძე
11 ბესიკ ხამაშურიძე
10 ოთარ გარკალია
9 ბიძინა სამხარაძე
8 ბესიკ უდესიანი
7 რატი ურუშაძე
6 ილია მაისურაძე
5 გამუკა გორგოძე
4 ილია ზედგინიძე (კაპ)
3 დავით ზერაქაშვილი
2 აქვსენტი გიორგაძე
1 გოდერძი შველიძე

სათადარიგონი

16 დავით ხინჩაგაშვილი
17 აკთანდილ კოპალიანი
18 ზვიად მაისურაძე
19 შალვა სუთიაშვილი
20 ირაკლი აბუსერიძე
21 დავით კაჭარავა
22 გიორგი ელიზბარაშვილი



7870! ჩოგბურთის ახალი ჯოჯოლუნგმა

უკვე ძალიან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, დიადი ავსტრალიელი როდ ლეივერი სლემტურნირებს ერთმანეთის მიყოლებით რომ იგებდა. მაშინ რეიტინგები არ არსებობდა და არავის დაუთვლია, თუნდაც 1969 წელს, როდესაც მეორედ მოიპოვა დიდი სლემი, რამდენი სარეიტინგო ქულა მოაგროვა ჩოგბურთის ოზმა ჯადოქარმა.

რეიტინგები 1973 წლიდან შემოიღეს და მას შემდეგ არსებულ ყველა რეკორდს როჯერ ფედერერმა ხაზი გადაუსვა. უფრო სწორად, შვეიცარიელი ჩოგნის გენიოსი ამ რეკორდებს ყოველ წელს კი არა, ყოველი ტურნირის, ყოველი დღის შემდეგ ცვლის და მადრიდელი მასტერსის მოგების შემდეგ სწორუპოვარმა „მხიარულმა როჯერმა" პროფესიონალ ჩოგბურთელთა კლასიფიკაციების ნიხრი ახალ, არნახულ სიმაღლემდე აზიდა — 7870 ქულა განთესვის რეიტინგში და 1474 ქულა საჩემპიონო რბოლაში.

ასეა: ფედერ-ერა გრძელდება!

რომანი ნამუსმა და დროგბამ შეაწუხა

ინგლისური მედიის ცნობით, დიდი დროგბას ახალ კონტრაქტს უმზადებენ და ჯამაგირს უორმაგებენ.

„ჩელსის" მეგოლე კვირაში 120 ათას გირვანქას მიიღებს, აქამდე კი 60 ათასს აძლევდნენ. აბა, შევჩენკოს 130, ბალაკს 120 და დროგბას აღარ ეკუთვნოდა ამდენი?! კოტდივუარელს გოლი გოლზე გააქვს, შევამ კი ორი თვეში ორი კინკილა გაიტანა. ჰოდა, აბრამოვიჩსაც ალბათ მიუკაკუნეს, სამართალს პური ვაჭამოთო.

მიხეილ ალავიძე: ზვიად სტურუას კიდევ შევუტევ

ბურაბ დოლიძეგაბელის ფოტო

მიხეილ ალავიძეს ჯერ 19 წელი არ შესრულებია და უკვე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ რეკორდს თამამად შეუტია. ახალგაზრდა მეკარე გოლგაუშვებლად 771 წუთი იდგა რუსთავის „ოლიმპის“ კარში და სულ ცოტა დააკლდა ზვიად სტურუას რეკორდის (923 წუთი) დასამხობად. ალავიძის მშრალი სერია ბათუმელი ამირან მუჯირის შორიდან გასროლილმა შეწყვიტა...

დამაჯერებელი თამაშის მიუხედავად, ალავიძემ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება ვერ მიიპყრო, რაც, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, თუმცა რუსთაველთა კარის დარაჯს იმედი აქვს, რომ სანაკრებო კარი მისთვის მალე გაიღება...

— მუჯირის დარტყმამ მშრალი სერია შეგიწყვიტა. შეგეძლო იმ ბურთის მოგერიება?

— არის დარტყმები, რომელთაც აუღებელი ჰქვია. სწორედ ასეთი იყო მუჯირის დარტყმულიც. ყველანაირად შევეცადე, გუნდი გადამერჩინა, მაგრამ ვერ შევძელი. ძალიან მეწყინა, რომ მშრალი სერია შემიწყდა, თუმცა თავს ზემოთ ძალა არ არის. არაფერია, სტურუას რეკორდს ისევ შევუტევ.

— საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— არამარტო ჩემი თამაშით, მთლიანად გუნდის თამაშით ვარ კმაყოფილი. ბათუმელებთან შეხვედრამდე გოლი რომ არ მქონდა გაშვებული, მთელი გუნდის დამსახურებაა.

— რამდენად რეალურად მიგაჩნია ჩემპიონობა?

— ძალიან მეგობრული და შეთამაშებული გუნდი ვართ. საწყისმა ტურებმა დაგვანახა, რომ ჩემპიონობა შეგვიძლია და საამისოდ ყველაფერს ვიღონებთ.

— კონკურენტებად რომელ გუნდებს თვლი?

— „ამერს“, „დინამოს“ და „ზესტაფონს“.

— ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე თავდამსხმელებიდან ვის გამოარჩევდი?

— ძალიან სახიფათოა ზურაბ იონანიძე, სანდრო იაშვილი, რეზო ჯიქია, გოგი ფიფია... მართალია, თავდამსხმელი არ არის, მაგრამ უამრავი პრობლემა შეგვიქმნა ამირან მუჯირმაც.

— დამაჯერებელი თამაშის მიუხედავად, ახალგაზრდულ ნაკრებშიც არ გამოუძახებიხარ მწვრთნელებს...

— სიმართლე გითხრათ, მეგონა, გამომიძახებდნენ, თუმცა არა უშავს... რატომღაც მჯერა, რომ უახლოესი თამაშისთვის ნაკრებში დამიძახებენ და ვეცდები, ჩემი თამაშით გავამართლო მწვრთნელების ნდობა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მესამე და სამართალი

URუგვაიმ და ვენესუელამ ერთმანეთი დაიჭირეს

ოსკარ ტაბარესი

15 ნოემბერს საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩში URუგვაის რომ გაეჯიბრება, ადრეც არაერთხელ გაუწყეთ. იქამდე კი, 27 ოქტომბერს, ოსკარ ტაბარესის გუნდი ერთ ამხანაგურსაც გამართავს და ამჯერადაც ვენესუელას გაეჯიბრება.

შეგახსენებთ, რომ URუგვაიმ ვენესუელა რამდენიმე დღის წინ 4:0 დაამარცხა, იქამდე კი 0:1 წააგო.

მორიგი ტესტ-მატჩისთვის ტაბარესმა 25 ფეხბურთელს უხმო და მათგან ოდენ სამია ლეგიონერი. URუგვაი — ვენესუელა მარაკაიბოს „პაჩენჩო რომერო სტადიუმზე“ გაიმართება.

ტაბარესის სია ასეთია:

ფაბიან კარინი (ინტერი, იტალია), ხუან კასტილიო (პენიაროლი), სებასტიან აბრეუ (მონტერეი, მექსიკა), ეგიდიო არევალო რიოსი (პენიაროლი), მაურისიო ვიქტორინო (ვერაკრუზი, მექსიკა), ნიკოლას ვინერი (პენიაროლი), გერარდო ალკობა (უონდერერსი), სერხიო ბლანკო (უონდერერსი), ფერნანდო მუსლერა (უონდერერსი), სებასტიან დიასი (ესპანიოლი), გასტონ ფილგუეირაში (ესპანიოლი), გონსალო ლემესი (ესპანიოლი), ხულიო მოცო (ესპანიოლი), ხორხე გარსია (დანუბიო), ვალტერ გარგანო (დანუბიო), იგნასიო გონსალესი (დანუბიო), დამიან მალრეშაფი (დანუბიო), ხუან მანუელ სალგუეირო (დანუბიო), ალვარო გონსალესი (დეფენსორი), იგნასიო იტურალდე (დეფენსორი), ნავარეზე ალვარო (დეფენსორი), მასიმილიანო პერეირა (დეფენსორი), მაურო ვილა (დეფენსორი), მარტინ როდრიგესი (რივერ პლეიტი), დიეგო ვერა (ბელა ვისტა).

კახა შალამბერიძე

29 ოქტომბერს 14 საათზე ეროვნულ სტადიონზე შედგება საქართველოს ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბის წევრთა პირველი საყოველთაო ფორუმი. ფან-კლუბის წევრებს და განევრიანების მსურველებს, გთხოვთ, მობრძანდეთ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

დავით ყიფიანის თასი

ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური

სვალ საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურია. გუშინ კი მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტმა იმ მსაჯთა ვინაობა დასახელა, რომლებიც ამ მატჩებს მოემსახურებიან...

A ჯგუფი

ზესტაფონი — სპარტაკი თბილისი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ლ. თოდრია, ზ.ფიფია; გ. კიკაჩეიშვილი

კახეთი თელავი — ამერი თბილისი

მსაჯები: ვ. გუმბერიძე; ი. უკლება, კ. ბერაძე; ი. ურუშაძე

B ჯგუფი

ტორპედო ქუთაისი — მესხეთი ახალციხე

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ო. მოლოდინაშვილი, ლ. მიქელაძე; ზ. ერქვანია

ბორჯომი — ვიტ ჯორჯია თბილისი

მსაჯები: ლ. სილაგავა; ა. ნონიკაშვილი, დ. კურტანიძე; თ. ხუჭუა

C ჯგუფი

ოლიმპი რუსთავი — ნორჩი დინამოელი თბილისი

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ზ. ხუციშვილი, ა. გუნთაძე; გ. ვადაჭკორია

ჩიხურა საჩხერე — დინამო თბილისი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ნ. რუსიშვილი; ხ. გაგნიძე

D ჯგუფი

მერანი თბილისი — მეშაძრე აგარა

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ა. კოკაია, კ. გუდურაშვილი; ლ. კვარაცხელია

ბათუმი — სიონი ბოლნისი

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი, კ. გაბრიადე; მ. ნაკაიძე

A ჯგუფი

ამერი	2	2	0	0	5:0	6
ზესტაფონი	2	1	0	1	5:2	3
ყახეთი	2	1	0	1	3:5	3
სპარტაკი	2	0	0	2	0:6	0

B ჯგუფი

ტორპედო	2	2	0	0	5:1	6
ბორჯომი	2	1	0	1	2:4	3
მესხეთი	2	0	1	1	0:1	1
ვიტ ჯორჯია	2	0	1	1	0:1	1

C ჯგუფი

დინამო	2	2	0	0	7:1	6
ჩიხურა	2	1	1	0	2:0	4
ოლიმპი	2	0	1	1	0:3	1
ნ. დინამოელი	2	0	0	2	1:6	0

D ჯგუფი

ბათუმი	2	2	0	0	6:0	6
სიონი	2	2	0	0	4:1	6
მეშაქრე	2	0	0	2	0:4	0
მერანი	2	0	0	2	1:6	0

ინგლისი

ჩემპიონატი. XIII ტური

ძოვენთრი 2:1 კოლჩესტერი

შოტლანდია

პრემიერლიგა. XI ტური

დანფერმლაინი 0:4 ჰიბერნიანი

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

VIII ტური

კოგლენცი 1:1 აუგსბურგი

იტალია

სერია B. VIII ტური

ვერონა 0:1 ალბინოლეფე

სერია C1/B. VIII ტური

იუვე სტაბია 3:0 მარტინა

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

XII ტური

ტურსი 0:3 ბასტია

ჰოლანდია

მეორე დივიზიონი

XIII ტური

აპელდორნი 1:1 ვენლო

კამბური 3:1 იგლსი

დენ ბოსხი 2:1 როზენდალი

დორდრეხტი 1:0 ვოლენდამი

ალმერე 0:1 გრაავშხაპი

ზვოლე 3:0 ემენი

ჰელმონდი 0:1 სიტარდი

მაასტრიხტი 1:0 ოსი

ტელსტარი 2:3 ეინდჰოვენი

ვეენდამი 2:2 ჰაარლემი

პორტუგალია

სუპერლიგა. VII ტური

ნავალი 1:1 ბრაგა

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. VII ტური

პანათინაიკოსი 1:2 აეკ

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა

XI ტური

ბრნო 2:0 ბოლესლავი

სლოვაცკო 0:1 სპარტა

ნორვეგია

ტიპელიგა. XXIV ტური

ლილესტრომი 1:2 ტრომსიო

შვედეთი

ალსვენსკა. XXIII ტური

ჰამარბი 1:0 ელფსბორგი

გიოტებორგი 0:3 კალმარი

ბულგარეთი

უმაღლესი ლიგა. X ტური

ჩერნომორეცი 0:1 რილსკი

ბელასიცა 1:0 ჩერნო მორე

ბეროე 1:2 სლავია

ლოკომოტივი (ს) 1:1 ცსკა

მარეკი 1:2 ლიტექსი

როდოპა 0:1 ლოკომოტივი (პ)

ვიჰრენი 2:0 სპარტაკი

ლევსკი 3:0 ბოტევი

ავსტრია

თასის II ეტაპი

ალერჰაილიგენი 2:3 დ.დ. შვანენშტადტი

საქართველოს უმაღლესი ლიგა 18 ჩემპიონატი
I წრე. 2 ტური

თავური ესკიზები

მილეთი დინამო-ოლიმპის მოლოდინში

ბათუმელმა ამირან მუჯირმა (№10) და ოლიმპელმა მიხეილ მახვილაძემ (მარჯვნივ) ერთმანეთს არც წიხლები დააკლეს და არც სიტყვები

ვურაბ დოლიძისა და ბელის ფოტო

ზესტაფონი – ამერი; ფრე ჰაერშიც და მინახულეც

ალეკო ციციშვილის ფოტო

მეცხრე ტური ისეთი გამოდგა, ცხრილში ადგილი მხოლოდ ორ გუნდს შეეცვალა, დანარჩენი გუნდების სუბორდინაცია კი ისეთივე დარჩა, როგორიც მერვე ტურში იყო. მოულოდნელი შედეგი ტურის არც ერთ მატჩში არ დაფიქსირებულა.

ლიდერ რუსთაველის „ოლიმპს" „ბათუმის" დამარცხება გაუძნელდა. ბათუმელთაგან უცხოეთიდან დაბრუნებული ამირან მუჯირი გამოირჩეოდა და გაუტანა კიდეც გოლი „ოლიმპს", რითაც მიხეილ ალავიძეს 771-წუთიანი მშრალი სერია შეუწყვიტა მიმდინარე ჩემპიონატში. მაგრამ მუჯირს ნერვებმა უმტყუნა, ოლიმპელ მიხეილ მახვილაძესთან შელაპარაკების გამო გააძევეს, რითაც საკუთარ გუნდს სარმა გამოსდო — მსაჯმა მახვილაძეც გააძევა, მაგრამ ამ გაძევებებმა უფრო „ბათუმი" აზარალა — მუჯირის გასვლის შემდეგ სტუმართა იერიშებს ჯანი მოაკლდა.

ამ გამარჯვებით „ოლიმპმა" ორი ქულით გაუსწრო „ამერს". რუსთაველებს ისიც უნდა ახარებდეთ, რომ რევაზ გეწაძე და გოჩა ხოჯავა ფორმაში შედიან — მათ ხომ მნიშვნელოვნად შეუძლიათ გუნდის გაძლიერება — „ბათუმთან" გადამწყვეტი გოლი სწორედ ხოჯავამ გაიტანა.

„ზესტაფონში" უფრო მეტს მაპირებლები კი უტევდნენ, მაგრამ საზიფათო მომენტების მხრივ „ზესტაფონს" დიდი უპირატესობა არ ჰქონია. ფრთხილი თამაში იყო, დაძაბული, არც ერთი გუნდი არ ხსნიდა თამაშს. შედეგით კი, ვფიქრობთ, დიდად უკმაყოფილო არც „ზესტაფონი" უნდა დარჩენილიყო და არც „ამერი". თუმც სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, თამაშის და სივრცეების გახსნა უფრო „ზესტაფონს" მართებდა.

ზესტაფონელებს „დინამომ" გადაასწრო — დუშან უჰრინის გუნდი პირველად შევიდა სამეულში — რაც „დინამო" უჰრინმა ჩაიბარა, ჯერ ქულა არ დაუკარგავს, დინამოელთა თამაში უფრო მობილური გახდა და მომდევნო ტურში ამ გუნდის და „ოლიმპის" დაპირისპირებას ქართული საფეხბურთო მილეთი ძალიან დიდი ინტერესით ელის.

„ვიტ ჯორჯიას" ისევ არ გამოუვიდა ლაღი თამაში, თუმც იმასაც ვერ ვიტყვით, „ჩიხურასთან" ივჯახირაო. დამარცხების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, საჩხერელებმა მიმდინარე სეზონში სტუმრად ჯერჯერობით საუკეთესო მატჩი ითამაშეს — „ჩიხურამ" სტუმრად პირველი გოლები გაიტანა და ყისმათიც მის მხარეს რომ ყოფილიყო, მცხეთიდან ქულას წაიღებდა. ვიტელებს გუნდის მთავარმეგოლე ნიკა გელაშვილი აკლდათ და ცენტრფორვარდის არყოფნაში გოლების გატანა ნახევარმცველმა იკისრა — გიორგი დათუნაიშვილმა ჰეთ თრიქი შეასრულა. მთლიანობაში კი, „ვიტ ჯორჯიასგან" უკეთეს თამაშს ველით და დაველოდოთ მომდევნო ტურებს — თუ ვიტელები სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლებენ, ჩემპიონატს მეტ ლაზათს შემატებენ.

ტურის დანარჩენი სამი მატჩი ერთმანეთს ერთი ნიშნით ჰგავდა — ფავორიტებმა თამაშის მიწურულს შეძლეს ფავორიტობის დამტკიცება.

„ბორჯომი" 85 წუთი გაუძალიანდა ჩემპიონს, მაგრამ ბოლო ხუთი წუთი ვეღარ გაძლო. არჩილ ალავიძის კუთხურს დავით ჭიჭვეიშვილმა მიაყოლა ზუსტი თავური და „ბორჯომიც" გატყდა — ორ წუთში ალავიძემ მეორედაც დაამწუხრა სტუმრები.

გორის „დილა" კი 75 წუთი ჩინეთის კედელივით იდგა ვაკეში. გორელთა მეკარე თამაზ ილურიძემ პირველ ტაიმში პენალტიც კი მოიგერია, მაგრამ ისევე, როგორც ბოლნისში, სტუმარი გუნდი აქაც მცველის თავურმა გატეხა — ლოკომოტიველმა ნიკა გუშარაშვილმა თავურით ორჯერ გაუტანა „დილას", მესამე გოლი კი ჩვენი ჩემპიონატის და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა ფეხბურთელმა ლევან ყენიამ გაიტანა.

ივივე დასასრული, ოღონდ განსხვავებული სიუჟეტი იყო თელავში. „კახეთი" 79-ე წუთამდე ამარცხებდა ქუთაისის „ტორპედოს". როცა 2:1 იყო, „კახეთს" მესამე გოლის გატანაც შეეძლო — დავით ბურდულმა ხარიხას შეაწყვიტა ბურთი. მერე კი ზურაბ მუშკუდიანმა გამოიდო თავი და დუბლით დააშამათა კახელები.

ხვალ საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის მატჩებია და შედეგების გარდა ისიც საინტერესოა, როგორ გადაანაწილებენ ძალებს გუნდები 29 ოქტომბრისთვის...

დავით თავგართქილაძე

ვიტ ჯორჯია	3:2	ჩიხურა	
ოლიმპი	2:1	ბათუმი	
ზესტაფონი	0:0	ამერი	
მერანი	1:3	დინამო	
კახეთი	2:3	ტორპედო	
ლოკომოტივი	3:0	დილა	
სიონი	2:0	ბორჯომი	

ოლიმპი	9	8	1	0	24:1	25
ამერი	9	7	2	0	16:2	23
დინამო	9	6	0	3	16:7	18
ზესტაფონი	9	5	3	1	12:3	18
ვიტ ჯორჯია	9	5	3	1	17:12	18
ტორპედო	9	5	3	1	10:5	18
სიონი	9	4	2	3	10:7	14
ლოკომოტივი	9	3	2	4	9:10	11
ბათუმი	9	2	2	5	9:9	8
მერანი	9	2	2	5	7:16	8
ჩიხურა	9	1	3	5	6:15	6
ბორჯომი	9	1	2	6	10:20	5
დილა	9	0	2	7	4:25	2
კახეთი	9	0	1	8	9:27	1

ბომბარდირები

4-ჯერ:	
ბოჩაშვილი	ვიტ ჯორჯია
ბოჩაშვილი	ლოკომოტივი
დვალიშვილი	ოლიმპი
იაშვილი	დინამო
გელაშვილი	ვიტ ჯორჯია
სირბილაძე	ოლიმპი
ფიფია	ზესტაფონი
ალავიძე	სიონი
ქებაძე	ოლიმპი



მომდევნო ტური

29 ოქტომბერი, ხვირა

ბორჯომი – ჩიხურა
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დინამო – ოლიმპი
დილა – მერანი
ამერი – ლოკომოტივი
ტორპედო – ზესტაფონი
სიონი – ჯახეთი

ჯაბა კანკავა: დამრტყმელი №1 უკრაინაში

არსენალი თოფებისგან იცლება

„უკრაინის ჩემპიონატში ჯაბა კანკავას დარი ძლიერი დარტყმა არავის აქვს, ის ამას ორივე ფეხით მშვენივრად აკეთებს. ერთადერთი, ანატოლი ტიმოშჩუკი თუ შეედრება, ოღონდ შახტარელი მხოლოდ მარჯვენა ფეხით ურტყამს. კანკავას გასროლილი დონეცკელთა მეკარისთვის მოულოდნელი იყო. ბურთმა იხტუნა, იხტუნა და კარში შევარდა“ — ეს კიევის „არსენალის“ თავკაცის ალექსანდრ ზავაროვის სიტყვებია. ჯაბა კანკავამ და „არსენალმა“ რომ გუშინწინ საქმე ჰქონეს, ნუ იტყვით: „მეთოფეებმა“ დონეცკში „შახტარს“ 1:0 მოუგეს, ეს გოლი კი 20 წლის ქართველმა საყრდენმა ნახევარმცველმა საჯარიმოს გარედან გაიტანა. ჯაბასთან მარტო ამ გოლზე და მოგებაზე არ გვილაპარაკია, სხვა საინტერესოც შევიტყვეთ...

— მაგარი თამაში მოვიგეთ და მთელი უკრაინა გავაოცეთ. რა თქმა უნდა, „შახტართან“ სტუმრად სამ ქულას ვერ დაგეგმავ, ჩვენ ფრის იმედად გავედით მინდორზე, მაგრამ ბრძოლის ხარჯზე ვიმარჯვეთ. პირველ ტაიმში გავძელით, მეორეში კი გავთამამდით და გოლიც შევაგდეთ, რის შემდეგაც მთელი გუნდით დაცვაში ჩავჯექით. სხვანაირად არ გამოდიოდა...

— შენი გოლის გარდა „არსენალს“ მომენტი არ ჰქონია?

— პირიქით, ჩვენ უფრო ბევრი საგოლე შანსი გვქონდა. „შახტარი“ კი აკონტროლებდა ბურთს, თუმცა ჩვენს საჯარიმოში იშვიათად ახერხებდა შემოსვლას. 1:0-ზე კიდევ შემეძლო გატანა, 20 მეტრიდან ოდნავ ავაცილე.

— შენს გოლზე უკრაინელები ბევრს ლაპარაკობენ...

— კუთხურიდან გადმოვარდნილი ბურთი მივიღე, მცველები დროულად ვერ წამოვიდნენ დაფარებაზე და დარტყმა მოვასწარი... სუპერგოლი არ ყოფილა, მაგრამ მაინც ლამაზი იყო, რაც მთავარია, ძალიან ფასეული.

— ჩემპიონატის ათ მატჩში უკვე მესამე გოლი გაიტანე, რაც საყრდენი ნახევარმცველისთვის ურიგო შედეგი არ არის...

— ზავაროვი მეუბნება, ხშირად დაარტყი კარშიო და მეც ვატყობ, რომ გამომდის. ისე, სულ საყრდენად ვთამაშობ.

— ზავაროვმა თქვა, უკრაინის ჩემპიონატში კანკავას დარი დარტყმა არავის აქვსო...

— ეს ალბათ იმიტომ თქვა, რომ ძალიან ვუყვარვარ... ზავაროვი სულ მამხნევებს, ყველასთან ასეთია. „შახტართან“ მოგების შემდეგაც განსაკუთრებით არ შევუქებივარ, ყველას ერთად მოგვილოცა წარმატება. მოკლედ, „არსენალშიც“ „ერთი გუნდი ვართ“.

— ლაშა ჯაკობია ალბათ კვლავ მკურნალობს...

— ასეა, იგი ახლა თბილისშია.

— „არსენალი“ მეოთხე ადგილზეა ჩემპიონატში და ალბათ უეფას თასზე გასვლას უმიზნებთ...

— არ ვიცი. უეფას თასი კი არა, შესაძლოა, გუნდი დაიშალოს. ერთ თვეში კლუბის შესყიდვაზე აუქციონი შედგება და იქ გაირკვევა „არსენალის“ მომავალი.

— კლუბში ამჟამად ნორმალური ფინანსური მდგომარეობაა?

— ხელფასებს ჩვეულებრივ გვაძლევენ, მაგრამ მხოლოდ დეკემბრამდე იქნება ასე. მერე რა მოხდება, არავინ იცის.

— მაშინ ახლავე მოგიწევს თადარიგის დაჭერა — წესით, კლუბის მონახვა არ უნდა გაგიჭირდეს...

— ასეა. უკრაინის კარგი გუნდებიდან უკვე მაქვს წინადადებები.

— ბოლოს საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ: უკრაინასთან წაგების შემდეგ თვითკრიტიკული იყავი, მესამე გოლი ჩემი შეცდომით გავუშვითო. ვერც იტალიასთან თამაშით იქნები კმაყოფილი...

— რა თქმა უნდა, ძალიან განვიცადე, რომ გამაძევეს, თანაც ასეთ საკვანძო მომენტში. ის წითელი ბარათი რომ არა, სულ სხვა თამაში წავიდოდა. ჩემ თავსაც ვამტყუნებ და მსაჯსაც: ჯერ ერთი, პირველი ყვითელი უხეშობისთვის არ მიმიღია, მეორედ კი საერთოდ არ შევხებივარ პირლოს.

— ნაკრები თამაშიდან თამაშამდე უმატებს — ეთანხმები ამ აზრს?

— ვეთანხმები და ეს მწვრთნელის დამსახურებაა. კლაუს ტოპმიოლერი უჭკვიანესი სპეციალისტია. უიღბლობამ და გაუთავებელმა ტრავმებმა არ მოგვცა ქულების აღების საშუალება, მაგრამ მჯერა, მომდევნო მატჩებში შედეგიც მოვა.

ილია ნანოგაშვილი

ფრაიბურგისთვის საუკეთესო ძველია

როგორც იქნა, მოიგო „ფრაიბურგმა“. ალექსანდრე იაშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის გუნდმა გამარჯვების გემო მერვე ტურში გაიხსენა. საინტერესოა, რომ მიმდინარე სეზონში „ფრაიბურგის“ შემადგენლობაში ორივე ქართველმა პირველად იბურთავა. მეტიც, იაშვილი საუკეთესო იყო მოედანზე და მის დამაჯერებელ თამაშს გერმანელებიც აღნიშნავენ.

„გადამწყვეტი მომენტი მატჩის 55-ე წუთი იყო, როდესაც ალექსანდრე იაშვილი მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და პიტროიპს გოლი გაატანინა. მცველთაგან მოუხელთებელი ქართველი ამას არ დასჯერდა — 82-ე წუთზე „იაშიმ“ კულიბალს მისცა საგოლე პასი და მანაც საბოლოო წერტილი დასვა. ქართველ შემტევს 47-ე წუთზე თავადაც შეეძლო გუნდის დაწინაურება, მაგრამ საჯარიმოში მოცელეს, მსაჯმა კი რატომღაც იაშვილი გააფრთხილა. საერთოდ, იაშვილი მთელი თამაში მეტოქის დაცვას მოსვენებას არ აცლიდა და ყველას ძველი „იაში“ გაგვახსენდა. „ფრაიბურგს“ ახლა ყველაზე მეტად სწორედ შეტევაში უჭირს და იმედია, იაშვილი ჩვეულ ფორმას და შედეგიანობას დაიბრუნებს“ — წერია „ფრაიბურგის“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

ჩვენ კი დავამატებთ, რომ სასიამოვნოა მოედანზე ხიზანეიშვილის გამოჩენაც. როგორც იქნა, ფოლკერ ფინკე ქართველ მცველს ენდო და ბოლო ნახევარი საათი ათამაშა. ხიზანეიშვილმა მარცხენა მცველი იბერცბერგერი კი შეცვალა, მაგრამ მისთვის ჩვეულ პოზიციაზე, დაცვის ცენტრში დაიკავა ადგილი.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სალუქვაძე რუბინში სიმბოლურად დაბრუნდა

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ლაშა სალუქვაძე ყაზანის „რუბინის“ ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა და პირველივე მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა. „რუბინმა“ სტუმრად 5:0 მიანგრია „მოსკვა“ და ჩვენებურთაგან ოდენ სალუქვაძემ ითამაშა.

ლაშამ რუსული „სპორტ-ექსპრესისგან“ შეფასებად 6,5 ქულა მიიღო და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა, რაც მიმდინარე სეზონში პირველი შემთხვევაა.

კახა შალამბერიძე

კალაძის 17-წუთიანი სამკლავური

აშკარად ჩავჭარდით. ახლა დავმშვიდდეთ

AFP

კახა კალაძემ და „მილანმა“ სკუდეტოსკენ მიმავალი ურთულესი გზა გვარიანად გაიეკლიანეს — „პალერმოსთან“ საშინაო 0:2-ის შემდეგ „შავ-წითლები“ 11 ქულით დაშორდნენ ლიდერს. საინტერესოა, რომ კახამ „პალერმოსთან“ ბოლო 17 წუთი უკაპიტნა „მილანს“ — ჯენარო გატუზო შეცვალეს და „რინომაც“ სამკლავური ჩვენიანს გადასცა.

„ყველანი იმედგაცრუებულები ვართ. ცუდად რომ გვეთამაშა, კიდევ ვიტყოდი რამეს, მაგრამ საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით, ბურთი კი „პალერმოს“ კარში არა და არ შედიოდა. სტუმრებმა სამი საგოლე შანსიდან ორი გამოიყენეს. მარკ ბრეშიანოს პირველი გოლისას ჩვენი დაცვა აშკარად ჩავარდა“ — ასეთია კალაძის კომენტარი სიცილიელებთან ნამატჩევს.

რაც შეეხება კაპიტნობას — კახა ამბობს, ჯერ მარტო „მილანის“ მაისურის მორგება მგვრის დიდ სიამაყეს და მით უმეტეს, როცა სამკლავური მიკეთია, ორმაგად ბედნიერი ვარო.

„ისე, ახლა კაპიტნობაზე ლაპარაკი უადგილოა, წაგებამ ძალიან დაგვწყვიტა გული. რაც შეიძლება, სწრაფად უნდა დავივიწყოთ მარცხი და დავმშვიდდეთ, ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და „მილანი“ სკუდეტოსთვის ბრძოლას აგრძელებს“.

უსიამოვნო დამთხვევაა, მაგრამ მაინც ვიქვათ: კალაძემ კაპიტნის სამკლავური რომ მოირგო, ერთ წუთში „პალერმომ“ მეორე გოლი შეაგდო.

ილია ნანოგაშვილი

სად გაუშვებს გოგუას ჩერვიჩენკო?

ნალჩიკში ქართველებს არ ერჩიან

მიმდინარე რუსული პრემიერლიგის „ეკვატორზე“ ნალჩიკის „სპარტაკი“ რამდენიმე ტურით ლიდერი იყო, ახლა კი, როცა ჩემპიონატის დასრულებას ექვსი ტური უკლია, ნალჩიკელები თექვსმეტგუნდა პრემიერლიგაში მე-11 ადგილზე არიან. საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველთან და ნალჩიკელთა ერთ-ერთ ლიდერ გოგიტა გოგუასთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...

— „ნალჩიკის“ ასეთი უკუსვლა რამ გამოიწვია?

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. თუ საქმე ისაა, რომ რუსეთის წამყვან გუნდებს კლასით ჩამოვუვარდებით, მაშინ მანამდე როგორ ვლიდერობდით პრემიერლიგას?! ეს ყველაფერი ალბათ იმის ბრალია, რომ ადრე მეტოქეები სათანადოდ არ გვაფასებდნენ, მერე კი უფრო სერიოზულად შემოგვხედეს.

— როგორც კი რუსული პრემიერლიგა ჩამთავრდება, „ნალჩიკთან“ ხელშეკრულება გიმთავრდება — სხვა გუნდში აპირებ გადასვლას?

— გადაჭრით ჯერ ვერაფერს გეტყვით, შესაძლოა, დავრჩე კიდეც „ნალჩიკში“. მაქვს შემოთავაზებები უკეთესი რუსული გუნდებიდან და სხვა ქვეყნებიდანაც, მაგრამ დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ.

— „ნალჩიკში“ იჯარით ხარ, რუსეთის პირველი დივიზიონის „ხიმკის“ ეკუთვნი — როდის გიმთავრდება „ხიმკისთან“ კონტრაქტი?

— ორი წლის შემდეგ. მართალია, „ხიმკის“ ვეკუთვნი, მაგრამ, ფაქტობრივად, ჩემს სატრანსფერო საქმეებს „ხიმკის“ ყოფილი პრეზიდენტი ანდრეი ჩერვიჩენკო განაგებს.

— უფრო საითკენ მიგიწევს გული — ევროპისკენ თუ მოწინავე რუსული გუნდებისკენ?

— ევროპა ყოველთვის უკეთესია, თუმც რუსული პრემიერლიგაც სერიოზული დონისაა. თუ რუსეთის რომელიმე ძლიერ გუნდში გადავალ, კმაყოფილი დავრჩები.

— ყაზანის „რუბინის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გეგეჭკორმა „სარბიელს“ უთხრა, გოგუას სატრანსფერო ფასი დაახლოებით 2,5 მილიონი დოლარიაო...

— რუსულ პრესაშიც დაიწერა, გოგუას სატრანსფერო ფასი მაღალიაო, თუმც კონკრეტული თანხის თაობაზე არაფერი თქმულა. ამის შესახებ ნალჩიკურ გაზეთშიც ამოვიკითხე.

— „ნალჩიკში“ ბოლოხანს რა პოზიციაზე გათამაშებენ?

— ბოლო ორ თამაშში ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე გამამწესეს. პოზიციების ხშირი შეცვლა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

— რუსეთში გამძვინვარებული ანტიქართული კამპანია ნალჩიკში როგორ „მოქმედებს“?

— აქ არანაირი ზეწოლა არ არის არც ჩემზე, არც გუნდის დანარჩენ ქართველებზე. ნალჩიკში საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს, ისინი სულ დადიან ჩვენს თამაშებზე. რუსეთის სხვა ქალაქებში რა ხდება, ვერ გეტყვით, ნალჩიკში კი ქართველებს არ ავიწროვებენ. სამი-ოთხი ტურის წინ ჩვენს სტადიონზე ქართველმა ქომაგებმა საქართველოს დროშაც გამოფინეს და მათთვის არანაირი პრობლემა არ შეუქმნიათ.

დავით თავართქილაძე

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	პალერმო 0:2	90		5	1	14
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	ჰანოვერი 2:1	90	1 გოლი	7	1	2
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ბურგჰაუზენი 2:0	90	2 საგოლე პასი, გააფრთხ.	7	1	12
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	შ	ბურგჰაუზენი 2:0	31	შეცვლაზე ითამაშა	1	0	12
დავით სირაძე	აუე	შ	ბრაუნშვაიგი 3:0	87	1 გოლი, შეცვალეს	7	1	9
მათე ღვინიანიძე	მიუნხენი	შ	ლაუტერნი 0:1	0	ტრავმირებულია	5	0	6
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	დარმშტადტი	ს	*ალენი — გადაიდო*			8	0	17
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	ბაზელი	შ	სენტ გალენი 2:1	0	სათადარიგო	3	0	5
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	შ	ბოლტონი 0:1	90		8	0	10
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	შ	პსვ 1:3	90	საგოლე პასი	7	3	3
გოგა გახოკიძე	ტვენტე	შ	ექსელსიორი 4:1	0		1	0	4
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ზენიტი 1:4	0	ტრავმირებულია	14	0	3
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	ს	ზენიტი 1:4	0		8	0	3
მიხეილ აშვეთია	რუბინი	ს	მოსკვა 5:0	0	ტრავმირებულია	13	0	12
გიორგი ქინქლაძე	რუბინი	ს	მოსკვა 5:0	0	სათადარიგო	4	0	12
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	ს	მოსკვა 5:0	90		12	0	12
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	ს	მოსკვა 5:0	0	სათადარიგო	2	0	12
ზურაბ არზიანი	რუბინი	ს	მოსკვა 5:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	12
ბექა ულენტი	ტორპედო	შ	სპარტაკი 1:1	0	ტრავმირებულია	0	0	15
დავით მუჯირი	კრილია	ს	ტომი 1:2	0	ტრავმირებულია	18	4	9
გიორგი ლომაია	ლუჩ-ენერგია	ს	შინიკი 3:1	90		3	0	8
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	ს	დინამო 0:1	63	გააფრთხილეს, შეცვალეს	21	3	11
ალექსანდრე ჩიხრაძე	ნალჩიკი	ს	დინამო 0:1	90		24	0	11
ლევან გვაზავა	ნალჩიკი	ს	დინამო 0:1	27	შეცვლაზე ითამაშა	2	0	11
ალეკო ამისულაშვილი	შინიკი	შ	ლუჩ-ენერგია 1:3	90		13	1	16
ზურაბ მენთეშაშვილი	შინიკი	შ	ლუჩ-ენერგია 1:3	81	შეცვალეს	10	0	16
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	შ	სტალი 3:1	0	სარეზერვო გუნდშია	2	0	1
დავით იმედაშვილი	დინამო	შ	სტალი 3:1	0	სარეზერვო გუნდშია	1	0	1
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	ს	მეტალისტი 0:1	0	სათადარიგო	10	2	9
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ტავრია 1:0	90	1 გოლი	9	2	12
დავით კვირკველია	მ. ზაპოროჟიე	შ	ტავრია 1:0	0	ტრავმირებულია	8	2	12
ლევან სილაგაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ტავრია 1:0	0		0	0	12
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი	შ	დნიპრო 0:1	90		8	0	8
კახა მჟავანაძე	ჩერნომორეცი	შ	დნიპრო 0:1	90		8	0	8
გიორგი შაშიაშვილი	ჩერნომორეცი	შ	დნიპრო 0:1	0	სათადარიგო	4	0	8
ვასილ გიგიაძე	კრივბასი	შ	ვორსკლა 0:0	90		11	6	7
ლადო ბურდული	კრივბასი	შ	ვორსკლა 0:0	33	შეცვლაზე ითამაშა	10	1	7
კახა ალადაშვილი	დნიპრო	ს	ჩერნომორეცი 1:0	0	სათადარიგო	4	0	5
ჯაბა კანკავა	არსენალი	ს	შახტარი 1:0	90	1 გოლი, გააფრთხილეს	10	3	4
ლაშა ჯაკობია	არსენალი	ს	შახტარი 1:0	0	ტრავმირებულია	5	2	4
გიორგი ციმაკურიძე	სტალი	ს	დინამო 1:3	45	შეცვლაზე ითამაშა	9	0	15
სერგო ორბელაძე	ილიჩევეცი	ს	ზარია 1:1	0	სათადარიგო	1	0	13
საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა								
ლევან ცქიტიშვილი	პანიონიოსი	შ	ლარისა 2:1	1	შეცვლაზე ითამაშა	4	0	14
ლევან მაღრაძე	ქსანთი	შ	კერკერა 1:1	90		5	0	15
საბერძნეთი. მეორე ლიგა								
დავით ქოქიაშვილი	ეთნიკოსი	შ	ლევადიაკოსი 0:0	45	შეცვლაზე ითამაშა	5	0	15
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	ლოძი	შ	გურნიკი 2:0	90		3	0	2
ბულგარეთი. უმაღლესი დივიზიონი								
ვლადიმერ კაკაშვილი	რილსკი	ს	ჩერნომორეცი 1:0	0		4	0	13
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ზაალ ელიავა	სკონტო	ს	დიჟვანაგი 1:0	0		12	0	3
დავით ჩალაძე	სკონტო	ს	დიჟვანაგი 1:0	0		2	0	3
ალექსანდრე რეხვიაშვილი	იურმალა	ს	რიგა 0:2	90		11	0	6
ირაკლი ქორთუა	დიჟვანაგი	შ	სკონტო 0:1	90		7	0	8

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

კბენანი, ღრენანი

ტოტენჰემელმა ჯერმენ დეფომ ვესტჰემელ ხავიერ მასკერანოს მკლავზე უკბინა.

ეს იშვიათი და დაუვიწყარი მოვლენა მას შემდეგ მოხდა, რაც არგენტინელმა თავდამსხმელი წააქცია და ისიც სიმხეცისგან შეშლილი კბილებით სწვდა.

ფანობა გაოგნდა და თანაც აბობოქრდა, „ტოტენჰემის" მწვრთნელმა მარტინ იოლმა კი სკანდალის დაწყნარება ასე სცადა: „ეს თამაშის ნაწილია".

მაგრამ სანამ კბენა თამაშის ნაწილი იყო, მინდორზე 20-კაციანი ჩხუბი ატყდა და მსაჯმა სტივ ბენეტმა მასკერანოსა და დეფოს მხოლოდ მას შემდეგ მისცა ყვითლები, რაც მოჩხუბრები დააშოშმინა.

აღზრდით და სიჭაბუკით ვესტჰემელ დეფოს მეორე წრეში მძიმე გამოცდა ელის „აპტონ პარკზე".

მარტინ იოლმა ისიც თქვა, დეფომ ოხუნჯურად უკბინა მეტოქეს, რომელმაც ათ წუთში სამჯერ საშინლად წააქცია და ამ ოხუნჯობით დეფოს უნდოდა ეჩვენებინა, ბარემ დამკბინოსო.

პოლიციას საქმე არ აღუძრავს, ასოციაცია კი ალბათ გამოძიებას დაიწყებს.

ცნობილი კბენანი:

1997 წელს მაიკ ტაისონმა ლას ვეგასის რინგზე ჰოლიფილდს ყური წააკვნიტა.

1998 წელს რაგბის მატჩისას „ბასის" კევინ იეტსმა ისეთი უკბინა „ლანდან სქოთიშის" საიმონ ფენს, რომ 6-თვიანი უქმობით დასაჯეს.

2001 წელს ფულემელი ლუიშ ბოა მორტე ევერტონელი დევიდ ვეირის დაკბენისთვის გააძევეს.

იმავე წელს, „არსენალში" გადასვლამდე „სევილიაში" მოთამაშე ხოსე რეიესს თანაგუნდელმა ფრანსისკო გალარდომ ვატანილი გოლის ზეიმობისას სიხარულით უკბინა.

ირაკლი გამყრელიძე

ძველი ბიჭები თოვლის პაპასთან

საქმე ისე ჩანს, რომ ძველი მეგობრები, დენის უაიზი და გუსტავო პოიეტი, ახალ სამსახურს გამოჰკრავენ ხელს.

პატარა „სუინდონის" მენეჯერი უაიზი და მისი მარჯვენა ხელი პოიეტი „ელანდ როუდზე" მიიპატიჟეს და „ლიდსის" ჩაბარებაზე ესაუბრნენ.

„ლიდსის" მენეჯერის სკამი სექტემბრიდან ცარიელია და ჩემპიონლიგიდან პრეემიერლიგაში ამოსვლის ამბიციის მქონე „ლიდსი", რომლის პატრონიც თეთრწვერა კენ ბეიტსი გახლავთ, შედეგებით უკმაყოფილოა.

უაიზიცა და გას პოიეტიც ბეიტსის ძველი ნაცნობები არიან „ჩელსიდან", სადაც ბეიტსი დიდხანს იყო თავმჯდომარედ, ისინი კი ფეხბურთელებად.

უაიზმა საბელი „მილუოლის" მწვრთნელობისას დაიგდო, როცა ეს გუნდი ასოციაციის თასის ფინალში გაიყვანა 2004 წელს. მეორე დივიზიონში გავარდნილი „სუინდონი" წყვილმა მაისში ჩაიბარა და უკვე მაღლა მიჰყავს. უაიზს და პოიეტს სამწლიანი კონტრაქტი აქვთ, თუმცა, შეუძლიათ ორი ლიგით მაღლა მყოფ გუნდს ელაპარაკონ.

ირაკლი გამყრელიძე

ტაში-ტაში სან-სიროზე

ანჩელოტის ტაში უხარია, გვიდოლინის — პირველი ადგილი

„მილანმა" კიდევ ერთხელ დაამწუხრა გულშემატკივრები. კვირას „როსონერი" შინ დამარცხდა „პალერმოსთან" და ახლა იმავე „პალერმოსა" და თანაქალაქელ „ინტერს", რომლებიც სერია A-ს ლიდერობენ, უკვე 11 ქულით ჩამორჩება. ვთქვათ ისიც, რომ სიცილიელებს „სან სიროზე" აქამდე არასოდეს მოეგოთ.

„სანამ მეორე გოლს გავუშვებდით, კარგად ვთამაშობდით. კომპლიმენტები პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონისგანაც მივიღეთ და, მარცხის მიუხედავად, ბიჭები მეც შევაქე. პირველი ტაიმი ბრწყინვალედ ჩავატარეთ, მაგრამ მერე ორი შეცდომის გამო დავისაჯეთ. დასანანია, რომ შანსები ვერ გამოვიყენეთ" — თქვა „მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

„მილანი" პირველ ტაიმში მართლაც სჯობდა მეტოქეს და შანსები 0:1-ზეც ჰქონდა. კაკამ და ანდრეა პირლომ 5 წამში ორჯერ გაარტყეს ბურთი ძელს, თუმცა „როსონერიმ" შეძლო და გაუძლო „როსანერის" შტურმს და მერე მეორეც გაიტანა, რითაც მატჩის ბედი გადაწყვიტა.

კარგი თამაში ერთია, მაგრამ ფაქტია, „მილანი" კვლავ კრიზისშია და რაღაცა უნდა გამოასწოროს. კარლო ანჩელოტის გუნდის მთავარი სისუსტე თავდასხმაა. ამჟამად „მილანს" გოლის გატანა ძალიან უჭირს, რაც დიდწილად, პასიურად მოთამაშე ფორვარდების ბრალია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მატჩის მერე ფანებმა მაინც დაუკრეს ტაში და ობსტრუქცია არ მოუწყვიათ.

„უფრო ბასრად და შემართებით უნდა ვითამაშოთ. მეტი იმპროვიზაცია გვმართებს. ფანების რეაქცია კი ამ საღამოს ყველაზე პოზიტიური რამ იყო ჩვენთვის. დიდი მადლობა მათ გვერდზე დგომისთვის, ეს ძალიან მნიშვნელოვანია" — დასძინა ანჩელოტიმ.

„წაიღო 3 ქულა „სან სიროდან" ბევრს ნიშნავს. პირველ ტაიმში მხოლოდ „მილანის" შეჩერებაზე ვფიქრობდით და ეს გამოგვივიდა. თუმცა შესვენებაზე შევთანხმდით, რომ თუ ასე გავაგრძელებდით, ადრე თუ გვიან მაინც გავუშვებდი გოლს. ამიტომ სხვანაირად ავთამაშდით, წინაც წავედით და დაცვაც უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია, რამაც გაამართლა" — ეს კი „პალერმოს" მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინის სიტყვებია.

„როსანერის" მწვრთნელიც თვლის, რომ მის გუნდს გაუმართლა, ჩემპიონობაზე კი მოკრძალებულად საუბრობს. შეგახსენებთ, რომ სიცილიური კლუბის ხელმძღვანელობა ამბობს, სკუდეტო-ჩვენი მიზანი არ არის, მთავარია, ოთხეულში მოვხვდეთო. თუმცა ჯერჯერობით „პალერმო" პირველ ადგილზეა.

ფრანჩესკო გვიდოლინი: „რა თქმა უნდა, გაგვიმართლა კიდეც. არა მხოლოდ იმიტომ, რომ „მილანმა" ორჯერ ძელს გაარტყა. ხარიხას ფაბიო სიმპლისიოს დარტყმულიც მოხვდა. უბრალოდ, პირველ ტაიმში მეტოქეს აშკარა უპირატესობა ჰქონდა და გატანა შეეძლო. ძალიან გვიხარია, პირველ ადგილზე რომ ვართ. ჩემი აზრით, მარკო ბრეშიანო მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო. იგი ბრწყინვალე ფორმაშია და ჩინებულადაც ითამაშა. ბევრს მუშაობს და სათქმელს მინდორზე ამბობს ხოლმე".

„მილანის" კარში პირველი გოლის ავტორი ბრეშიანო მარტო გვიდოლინის არ მოსწონებია. იტალიელმა ჟურნალისტებმა ავსტრალიელი სერია A-ს მეშვიდე ტურის საუკეთესო მოთამაშედ დასახელეს.

გიორგი ძაძაგაძე

კაცზე ქუდი

ლემანმა თავსაფარი მოითხოვა

ინგლისის პრემიერლიგის ამასწინდელი მატჩი „რედინგსა" და „ჩელსის" შორის დრამატული რომ გამოდგა, გეხსომებათ. ლონდონელთა მეკარემ პეტრ ჩეხმა სტეფან ჰანტთან შეჯახებისას თავის ქალის ისეთი ტრავმა მიიღო, რომ საოპერაციო შეიქნა. მერე მეორე მეკარე კარლო კუდიჩინიც დაიმტვრა და კარში „ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერი ჩადგა.

ამ ამბავმა ძალიან შეაშფოთა ლონდონის „არსენალის" გერმანელი გოლკიპერი იენს ლემანი. ამგვარი ფაქტები ფეხბურთში მართლაც მოხშირდა და „მეთოფეთა" კარის დარაჯი ითხოვს, მეკარეებისთვის ჩაფხუტით თამაში სავალდებულო გახადონ.

„ვფიქრობ, ჩაფხუტით თამაში ხომ არ დავიწყო. უმჯობესია, თუ ამას სავალდებულოს გახდიან. მეკარეებს მეტი დაცვა სჭირდებათ. ეს წესი მიღებული არ არის და არ ვიცი, მიიღებენ თუ არა, მაგრამ არ გამიკვირდება, ჩემმა რომელიმე კოლეგამ ჩაფხუტით თამაში გადაწყვიტოს" — თქვა ლემანმა.

შეგახსენებთ, რომ წესების თანახმად, ფეხბურთელებს უფლება აქვთ ჩაფხუტით ითამაშონ, თუ ის ისეთი მასალისგან არის დამზადებული, რომელიც სხვა მოთამაშეებს ხიფათს არ უქმნის.

ამ იდეას უკვე გამოეხმაურა ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ მიჩნეული ჯანლუიჯი ბუფონი: „რა თქმა უნდა, აუცილებელია მეკარეების დაცვა გავაუმჯობესოთ. ასე უფრო თვითდაჯერებულნი ვიქნებით, მშვიდად ვითამაშებთ და ტრავმასაც ავირიდებთ თავიდან".

ძოკი კანდელაკი

ფაბიო კაპელო: რონალდინიო ჩემი საქმე არ არის

— **რას იტყვით მატჩის შესახებ?**

— ჩვენ ჩემპიონთა თასის მფლობელის წინააღმდეგ ვითამაშეთ და მეტოქე ძალიან ძლიერი გამოდგა. ცხადია, მატჩის განმავლობაში სახიფათო ეპიზოდები ბარსელონელებმაც შექმნეს. პირველი 15 წუთი „რეალმა“ შესანიშნავად იბურთავა, შემდეგ კი ისინი ჩვენზე უკეთესად მოქმედებდნენ. თუმცა მეორე ტაიმში უპირატესობა ჩვენს ხელთ იყო.

— **„რეალი“ უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა თუ „ბარსელონა“?**

— ახლა ჩვენი გუნდი გუნდს დაემსგავსა, მთავარი ესაა. შემართება და დონე აღარ გვაკლია.

— **ეს შემართება ბუქარესტში ჩატარებული მატჩიდან გამოგყვათ?**

— უკვე რამდენჯერმე აღვნიშნე, რომ პრიმერადივიზიონის წინა ტურში „ხეტაფესთან“ მარცხის შემდეგ გუნდში ტოტალური ცვლილებები მოხდა. და ეს ცვლილებები, როგორც ხედავთ, სასიკეთოა.

— **„რეალი“ საგოლე სიტუაციებს უკვე კარგად იყენებს...**

— „ბარსასთან“ მატჩში გვქონდა საგოლე ეპიზოდები, რომლებიც ვერ გამოვიყენეთ. „რეალმა“ მარტო ორი გოლი შეაგდო, არადა, ორჯერ ბურთი ძელს მოვარტყით და ერთიც მიზანს ოდნავ ასცდა. გოლების გატანა კი რა თქმა უნდა მთავარია.

— **გუნდის სახე უკვე გამოიკვეთა. ამიერიდან 12 ან 14 მთავარ მოთამაშეზე იქნებით დამოკიდებული?**

— როტაციებს არ შევწყვეტთ. სეზონის ბოლომდე მარტო 14 ფეხბურთელის გამოყენება მართებული არ არის.

— **ეს გამარჯვება სამ ქულაზე მეტს ნიშნავს?**

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულაა, „ბარსას“ ცხრილში მივუახლოვდით და ფსიქოლოგიურადაც თავს ახლა უკეთ ვგრძნობთ. კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით იმისკენ, რასაც მადრიდული სულისკვეთება ჰქვია.

— **ესპანეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ისევ ფავორიტებად იქეცით?**

— როგორც კი მადრიდში მწვრთნელად მოვედი, ვთქვი, რომ ბრძოლისუნარიანები ვიქნებოდით და ვართ კიდეც. თუმცა თითოეულ მატჩში თავისებურად მოქმედებაა საჭირო, წონასწორობა ყველა თამაშში უნდა დაიცვა. სატურნირო ცხრილის დღევანდელ ლიდერთა ჯგუფს ფინალამდე მისვლა შეუძლია და ჩვენც მათსავით ფავორიტები ვართ.

— **რონალდინიომ იმედები გაგიცრუათ?**

— მეტოქე გუნდის საქმეებში ნუ ჩამრევთ, ამაზე ლაპარაკი არ მიყვარს.

„რეალმა“ „ბარსელონას“ სამაგიერო გადაუხადა. თუ შარშან შესანიშნავად მობურთავე კატალონიელებმა „სანტიაგო ბერნაბეუს“ ინჩასები მომაკვდინებელი 3:0-ით დაამწუხრეს, კვირას — ფაბიო კაპელოს მწვრთნელობით და საამსეზონო ახალწვეულებით მოძლიერებულმა სამეფო გუნდმა მარადიულ მტერს რაულის და ვან ნისტელროის გოლებით მოუგო. მატჩის შემდეგ ჟურნალისტები ფაბიო კაპელოს და ფრანკ რაიკარდს გაესაუბრნენ

ფრანკ რაიკარდი: შეიძლება, ასეც იყოს

— **„რეალთან“ წაგების შემდეგ რას ფიქრობთ?**

— ესპანეთის ჩემპიონატში საქმე გავირთულეთ. ჩვენ საგოლე ეპიზოდები ვერ გამოვიყენეთ, „რეალმა“ კი პირიქით... 0:1-ის შემდეგ „ბარსამ“ მშვენივრად ითამაშა, თუმცა ბედი ჩვენს მხარეს არ იყო და დამაგვირგვინებელ ეპიზოდებში ვერ ვივარგეთ. თამაშის გამოსწორება მეორე ტაიმშიც ვცადეთ, თუმცა გუნდის გადარჩენა შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმაც ვერ მოახერხეს.

— **ამჟამინდელ „ელ კლასიკოში“ თქვენი გუნდი თავიდანვე მდევრის როლში აღმოჩნდა...**

— რაულმა გოლი ძალიან სწრაფად გაგვიტანა. „ბარსას“ ფარ-ხმალი არ დაუყრია, პირველი ტაიმის ბოლოს მეტოქე თავისსავე საჯარიმოს მივაჯაჭვეთ, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ვივარგეთ. იმათ კი ორი გოლი გაგვიტანეს. რა გაეწყობა, წავაგეთ, ამასთან შერიგება მოგვიწევს. ცხადია, უკმაყოფილონი ვართ, მაგრამ ამ წაგებით არაფერი დაგვიკარგავს. სწრაფმა გოლმა მეტოქეს უფრო მეტი ძალა შესძინა. მატჩი სუსტად დავიწყეთ, ბურთის დაკარგვამ საბედისწერო გოლი გამოიწვია. „რეალთან“ სხვა ტაქტიკით ბრძოლა იყო საჭირო.

— **აღიარებთ, რომ კაპელოს მახეში გაებით?**

— არ ვიცი, მახეში გავებით თუ არა, მაგრამ თამაში „რეალმა“ მოიგო. ეს ჯერ სამყაროს დასასრულს არ ნიშნავს. წაგებას თვითკრიტიკით უნდა მოვეკიდოთ.

— **უკვე ორი თამაშია, „ბარსას“ გოლი არ გაუტანია...**

— საგოლე სიტუაციები ბლომად იქმნებოდა, რითაც კმაყოფილი ვარ. აი, ბურთის კარში შესვლა უკვე სხვა საქმეა. მგონი, ნორმალურია, გუნდს, რომელიც მეტოქის კართან ხიფათს ქმნის, საყვედურები არ ვუთხრა. მუშაობას გავაგრძელებთ და გოლებიც არ დააყოვნებს.

— **ორი თამაში ზედიზედ წააგეთ...**

— ვიმეორებ, რომ ეს ესპანეთის ჩემპიონატის ბედს არ წყვეტს, წინ კიდევ ბევრი გზაა გასავლელი. ვაღიარებ, რომ იმედგაცრუებული ვარ, რადგანაც „რეალთან“ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. გვინდოდა, გულშემატკივრებაზე კარგი შთაბეჭდილება მოგვეხდინა, რაც არ მოხერხდა.

— **სამუელ ეტოო ძალიან დაგაკლდათ?**

— როცა სამუელმა ტრავმა მიიღო, იმწუთასვე ვუთხარი, ძალიან დაგვაკლდები-მეთქი, თუმცა ფეხბურთელების ერთმანეთთან შედარება არ მსურს. მთავარი მოედანზე სწორი განლაგებაა. ჩვენს დამარცხებაში ფორვარდებს ბრალი ნაკლებად მიუძღვით, ყველა პოზიცია შევსებული არ გახლდათ.

— **უკან დაწეულ ნახევარმცველზე უარი რატომ თქვით?**

— ბურთის შენარჩუნება და ცენტრში სწრ. ად თამაში გვინდოდა, მაგრამ რაულის გოლმა ყველაფერი ჩაშალა. მა. ის მოსაგებად ფორმაში ყოფნაა საჭირო. „რეალთან“ მატჩი სამომავლოდ გამოგვადება. დღევანდელ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ.

ტრადიციულად, „ელ მუნდო დეპორტივომ“ ფეხბურთელები შეადარა. გაზეთი „ბარსას“ და „რეალის“ მოთამაშეთა პირად საფეხბურთო დუელებს განიხილავს

მონადირე ემერსონი

ვალდესი — კასილიასი

ვიქტორ ვალდესს „რეალის“ პირველ გოლზე არაფრის გაკეთება არ შეეძლო. რაულის თავური მოუგერიებელი გახლდათ. სამაგიეროდ, „ბარსელონას“ მეკარე მეორე გოლისას შეცდა, როცა რობინიოს პასი რუუდ ვან ნისტელროიმ შესაფერისად გამოიყენა. თანაც ვალდესი ორი იერიშის უსუსური მომსწრე იყო, როდესაც ბურთმა მისი კარის ძელი შეაზანზარა — ერთხელ რაულის, ხოლო შემდეგ ვან ნისტელროის დარტყმის დროს. დანარჩენ ეპიზოდებში ბარსელონელს ურიგოდ არ უთამაშია. იკერ კასილიასს კი სამუშაო თითქმის არ ჰქონდა. „რეალის“ გოლკიპერი თამაშში სერიოზულად მხოლოდ ერთხელ, რონალდინიოს საჯარიმო დარტყმისას ჩაერთო.

ძამბროტა — რობინიო

იტალიელი ბრაზილიელმა გააწამა. ძამბროტა რობინიოს ფინტების კორიანტელში ჩაიკარგა და დაცვაში უღიმღამოდ ითამაშა. ასევე არადამაჯერებელი გახლდათ იერიშებშიც. რაც შეეხება რობინიოს, ქებათა ქებას იმსახურებს. ბრაზილიელმა შესანიშნავად იბურთავა და თავისი გუნდის მეორე გოლშიც წილი დაიდო.

ჰუიოლი — ვან ნისტელროი

კატალონიელთა კაპიტანი „ბერნაბეუზე“ „ბარსას“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო. კარლესს ვან ნისტელროი თვალთახედვის არიდან არ გაუშვია. მართალია, ჰოლანდიელმა გოლი გაიტანა, მაგრამ ამას ჰუიოლს ვერ დავაბრალებთ, რადგანაც საგოლე კომბინაციასას კაპიტანი ოდნავ წინ იყო გამოსული... ექსმანჩესტერელი რუუდი არ ბრწყინავდა, თუმცა როცა თამაშში ერთვებოდა, ბარსელონელებს ხიფათს უქმნიდა. ვან ნისტელროიმ ერთი გოლი შეაგდო და ერთხელაც ბურთი ძელს უსწორა.

ტურამი — გუტი

ფრანგი ძირითადში გახლდათ, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ლილიან ტურამი საჰაერო ბრძოლების დიდოსტატად ითვლება, რაულმა ვალდესის კარში თავურით სწორედ გალ ვეტერანთან ჭიდილის დროს შეაგდო. თან ტურამი დაცვაში ძალიან უკან რჩებოდა და „ბარსას“ მიერ შექმნილ ხელოვნური თამაშგარეები გააფუჭა. გუტი საბრძოლო ფორმაშია. იმან, რომ მეტოქეს საყრდენი ნახევარმცველი არ ჰყავდა და ტურამიც სუსტად გამოიყურებოდა, გუტიერეს ლაღად მოქმედების საშუალება მისცა, განსაკუთრებით 2:0-ის შემდეგ.

სილვინიო — რაული

ბარსელონელთა განაპირა მცველმა „რეალის“ კაპიტანთან ომი გადაიხადა. სილვინიო თავის მხრივ შეტევებში ჩვეულზე ნაკლებად ჩაერთო და არაზუსტი პასებიც გააკეთა... რაული გუნდის სული და გული იყო, თავდასხმაში შეუპოვარი და დაცვაში თავგანწირული. „ბერნაბეუს“ მატჩმა აჩვენა, რომ გონსალეს ბლანკოს კრიზისი უკვე წარსულს ჩაბარდა.

ხავი — დიარა

ხავის დაცვის წინ მოუწია თამაში და თავი არ შეურცხვენია. კატალონიელი ზედმეტად უკან გახლდათ საიმისოდ, იერიშებში ძლიერად რომ ჩართულიყო, თუმცა დაცვაში რეალელთა რამდენიმე შეტევა ჩაშალა. დიარამ მოედნის საკუთარ ნახევარზე და შეტევაშიც საკმაოდ ძლიერად ითამაშა.

ინიესტა — ელგერა

ინიესტამ ეპიზოდებში ბრწყინვალედ ითამაშა. თუმცა ბარსელონელის მცდელობებს ანგარიშში ცვლილება არ მოჰყოლია. ივან ელგერას კონკრეტული მოწინააღმდეგე არ ჰყავდა, იმ დღეს მისი ფუნქცია კანავაროს დახმარებით ამოიწურა.

დეკუ — ემერსონი

გუშინდელ „ელ კლასიკოს“ დეკუს დღედ ნამდვილად ვერ ჩავთვლით. თითქმის ყველა პასი გააცუდა და კასილიასის კარი ხეირიანად არც უნახავს... იგი იყო პირველი ფეხბურთელი, რომელიც რაიკარდმა შეცვალა. ემერსონმა კი ბოლომდე ითამაშა, რადგანაც მსაჯმა პერეს ბურულმა ასე ინდომა. ბრაზილიელმა „ვაუკაცურად“ ინადირა მესიზე, ამაში წუნს ნამდვილად ვერ დავდებთ...

მესი — რობერტო კარლოსი

ლეო მესი „ბარსელონაში“ საუკეთესო გახლდათ. არგენტინელმა მარჯვენა ფლანგზე რობერტო კარლოსს ჯოჯოხეთი მოუწყო, თუმცა გუდიონსენმა მისი პასით ვერ იხეირა... მესის ფინტების შემხედვარე კარლოსმა ჩვეულად შეტევაში გადასვლა ვერ მოახერხა.

გუდიონსენი — კანავარო

ისლანდიელს მესამე მატჩია, გოლი ვეღარ გააქვს. მესის პასი რომ ვერ გამოიყენა, უკვე აღვნიშნეთ, თუმცა „გუდი“ ერთ-ერთ ეპიზოდში „რეალის“ საჯარიმოში რამოსმა წააქცია, რისი დანახვაც პერეს ბურულმა ვერ ან არ შეძლო. კანავარომ სერიოზული თამაში ჩაატარა, სწრაფად და ეფექტურად იბურთავა.

რონალდინიო — სერხიო რამოსი

კიჭა მხოლოდ ადრინდელი რონალდინიოს აჩრდილია. თამაშში ვერ ჩაერთო და ხიფათი მარტო სტანდარტული მდგომარეობისას შექმნა. რამოსმა რონის დუელი მოუგო და აიძულა, უკან დაეხია. თან „რეალის“ განაპირა მცველი შეტევაში კარგად თამაშობდა, პირველი გოლი ხომ მისი პასით გავიდა.

რომანოვმა წკეპლა გაამზადა

ბატონი ყმას კუთხეში დააყენებს

ვალდას ივანაუსკასი

„ჰართსმა“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მწვრთნელი ვალდას ივანაუსკასი კლუბის პატრონმა ვლადიმირ რომანოვმა ლიტვაში სალაპარაკოდ დაიბარა.

ედინბურგულმა გუნდმა გასულ უქმეებზე შინ „კილმარნოკთან“ 0:2 წააგო და ეს იყო სეზონში მეორე საშინაო მარცხი 9 სექტემბრის შემდეგ, როცა „ჰართსს“ „სენტ მირენმა“ აჯობა.

ახლა „ჰართსი“ ლიდერ „სელტიკს“ რვა ქულით ჩამორჩება და რომანოვმაც იმიტომ გამოიძახა მწვრთნელი, რომ გუნდის საქმე უკანუკან მიდის. გამორიცხული არაა, ვალდას ივანაუსკასი მოხსნან, თუმც კლუბის პრესმდივანმა განაცხადა, ამის თაობაზე მწვრთნელ-პრეზიდენტის შეხვედრის შემდეგ ვიტყვითო.

ვალდას ივანაუსკასი მაისში დანიშნეს დროებით თავკაცად. მის ხელში „ჰართსმა“ შოტლანდიის თასი მოიგო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური მოიპოვა. საკვალიფიკაციოში ათენის აეკ-თან დამარცხდა, შემდეგ კი უეფას თასზე გადაინაცვლა, მაგრამ პრაღის „სპარტასთან“ წააგო და ჯგუფურ ეტაპზე ვერ მოხვდა.

მას მერე, რაც ვლადიმირ რომანოვმა „ჰართსი“ შეიძინა, სამი მწვრთნელი გამოცვალა — ლიტველი მილიონერი, როგორც ჩანს, ჭირვეული კაცია. ჯერ იყო ჯონ რობერტსი, რომელმაც თქვა, ახალი პატრონი მწვრთნელის საქმეებში ცხვირს ყოფს და ასე ვერ ვიმუშავებო. რობერტსის მერე ჯორჯ ბარლი დანიშნეს. მის ხელში „ჰართსმა“ ათმატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო, „სელტიკს“ და „რეინჯერს“ ცხრილში თავზე წამოაჯდა, მაგრამ რომანოვი რატომღაც მაინც უკმაყოფილო დარჩა — ბარლი გაათავისუფლა, მის ნაცვლად კი გრემ რიქსი მიიყვანა. რიქსმა გუნდი შოტლანდიის თასის ნახევარფინალში გაიყვანა და ჩემპიონატშიც მეორე ადგილს ინარჩუნებდა წინა სეზონის ბოლოს, თუმც აქაც რაღაც არ მოეწონა ლიტველ მილიონერს და რიქსსაც კარისკენ მიუთითა.

თასის ნახევარფინალში „ჰართსს“ უკვე ვალდას ივანაუსკასი თავკაცობდა და ედინბურგელებმა „ჰიბერნიანის“ ძლევით ფინალში გააღწიეს. გარდა ამისა, პრინციპულ მატჩში „აბერდინს“ მოუგეს და ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავეს, რითაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური მოიპოვეს. შოტლანდიის თასის ფინალში კი „გრეტნა“ პენალტებით დაამარცხეს და 1998 წლის შემდეგ პირველად მოიგეს ეს ჯილდო.

ახლა „ჰართსი“ მეორე ადგილზეა, მაგრამ ვლადიმირ რომნოვს ეს არ მოსწონს, მას ჩემპიონობა სურს და ლიტვაში ჩასულ ვალდას ივანაუსკასს გვარიანად შეახურებს.

ირაკლი ნინიძე

ხეში წყალი რომ ჩადგება

ლიპი დიდგულა პატარა გუნდს ეძებს

როგორც ჩანს, მარჩელო ლიპის ფეხბურთი მოენატრა და განაცხადა, რომ შესაძლოა, მწვრთნელობას თებერვალში ან მარტში დაუბრუნდეს. შეგახსენებთ, აქამდე იგი ამბობდა, საქმეს მომავალ ზაფხულს დავუბრუნდებიო.

„სკუადრა აძურასთან“ ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ მან პოსტი დატოვა და დასვენება გადაწყვიტა. ამბობდნენ, ლიპის „მანჩესტერ იუნაიტედი“ ეპატიჟება და იგი „ოლდ ტრეფორდს“ მიაშურებსო, მაგრამ გამოცდილმა ტაქტიკოსმა ინგლისში გადაბარგება ან არ ისურვა, ან მომავლისთვის გადადო.

გავიხსენოთ ისიც, რომ რამდენიმე კვირის წინ მან ესპანეთში მუშაობის სურვილი გამოთქვა. ჟურნალისტებმაც პრიმერადივიზიონის გარდა, ის ესპანეთის ნაკრებს დაუკავშირეს.

„რა თქმა უნდა, ფეხბურთიდან არ წავსულვარ. უბრალოდ, განსატვირთად მცირე პაუზა ავიღე. როგორც კი ვიგრძნობ, რომ დავისვენე, საქმეს დავუბრუნდები. იმედია, მსურველები მარტში ან თებერვაში დამიკავშირდებიან. მზად ვარ, ნებისმიერი კლუბის წინადადება განვიხილო. აუცილებელი არ არის გრანდი იყოს, მთავარია, მომავალი სეზონისთვის სერიოზული გეგმები ჰქონდეს“ — განაცხადა ლიპიმ.

ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილმა მწვრთნელმა აზრი „ოქროს ბურთზეც“ გამოთქვა. იგი თვლის, რომ ეს პრესტიჟული ჯილდო აუცილებლად ერთ-ერთ იტალიელ ფეხბურთელს უნდა გადაეცეს. 50-კაციან კანდიდატთა სიაში 7 იტალიელია — ჯანლუიჯი ბუფონი, ფაბიო კანავარო, ჯენარო გატუზო, ანდრეა პირლო, ფაბიო გროსო და ჯანლუკა ძამბროტა.

გიორგი ძაძაგაძე

კრუიფის რეცეპტი

მფრინავმა ჰოლანდიელმა მადრიდში მოსეირნე ბარსა ნახა

„ბარსელონას“ ექსმწვრთნელმა იოჰან კრუიფმა განაცხადა, რომ კატალონიურმა გუნდმა მადრიდის „რეალს“ თამაში... დაუთმო. „ბარსელონელები „სანტიაგო ბერნაბეუზე“ საჭირო სულისკვეთების გარეშე გავიდნენ და მეტოქეს „ელ კლასიკოში“ სამი ქულა აჩუქეს. „როცა „ბარსელონას“ ფეხბურთელი ხარ და მადრიდში თამაში გიწევს, მოედანზე ლომივით შემართული უნდა გახვიდე და მეტოქეს შენი საქციელით უთხრა: ეი, აქ მე ვარ, „ბარსელონა“! სამწუხაროდ, 22 ოქტომბერს რაიკარდის შეგირდებისგან მსგავსი არაფერი დამინახავს“ — აღნიშნა „მფრინავმა ჰოლანდიელმა“.

კრუიფი „ლა ვანგუარდიას“ მესვეტეა. ჰოდა, თავის სვეტში ამბობს, რომ „ბარსამ“ შეხვედრა მატჩის პირველ წუთებში სრული უსუსურობისა და შემდგომ დაშვებული შეცდომების გამო წააგო.

„ბარსელონა“ პირველმა გოლმა შოკში ჩააგდო. შემდეგ კატალონიელთა გონს მოსვლას 20-25 წუთი მაინც დასჭირდა, თუმცა შეცდომების დაშვება არ შეუწყვეტიათ“ — თქვა იოჰან კრუიფმა.

„კამპ ნოუს“ ლეგენდარულ ფეხბურთელსა და მწვრთნელს თავისი ყოფილი გუნდის დადებითი მხარეებიც არ გამოჰპარვია: „მესის თამაშმა მომხიბლა, მან ყველას ტვირთი მოიგდო მხარზე. „ბარსასაც“ ანგარიშის გასათანაბრებლად თავი არ დაუზოგავს, თუმცა გადამწყვეტ ეპიზოდებში კატალონიელ მოიერიშეებს სიზუსტე აკლდათ“.

„დრიმ თიმის“ ექსთავკაცის აზრით, „ბარსა“ ახლა კრიზისს განიცდის, რაც მარტო ეტოოს ტრავმიანობით და რონალდინიოს ცუდი თამაშით არ არის გამოწვეული.

კრუიფი ფრანკ რაიკარდს კრიზისიდან გამოსასვლელ რეცეპტს აძლევს: „რაიკარდმა ძირითადში ისინი უნდა დააყენოს, მოცემულ მომენტში საუკეთესო ფორმაში რომ არიან... „ბარსას“ საკმაოდ დიდი შემადგენლობა ჰყავს და წესით, ფრანკს „სახალხო რესურსები“ არ უნდა დააკლდეს“.

ლადო ხომერიკი

მოკეტე და ითამაშე

ჟიულიმ დომენეკს ენით შეუტია

რაიმონ დომენეკმა თქვა, ლუდოვიკ ჟიულის ნაკრებში გამოვიძახებ, თუ ლაპარაკს მოუკლებს და ფეხბურთს მიხედავსო. წინა სეზონში ფრანგმა ნახევარმცველმა „ბარსელონაში“ საუცხოოდ ითამაშა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც არ წაიყვანეს. ჟიულიმ რამდენჯერმე საჯაროდ გამოთქვა უკმაყოფილება დომენეკის გადაწყვეტილების გამო, ხოლო მწვრთნელმა განაცხადა: „ნაკრების კარი ყველასთვის ღია, მაგრამ ჯობს, მან ცოტა ილაპარაკოს და მეტი ითამაშოს“.

ბარსელონელმა პასუხი არ დააყოვნა: „როგორც დომენეკის ნათქვამიდან გავიგე, მოკეტვას და თამაშს მირჩევს. გაოცებული ვარ მისი ტონით, რადგან მე ყოველთვის პატივს ვცემდი, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი გამომატოვებინა და არ ამიხსნა, რატომ. ცხადია, ამან ჩემზე ცუდად იმოქმედა. ბავშვი აღარ ვარ და, უკეთესი იქნება, თუ შევხვდებით და ყველაფერს ნათელს მოჰფენს. სანამ პასუხს არ მივიღებ, არ გავჩუმდები და ლაპარაკს ვერავინ ვერ ამიკრძალავს“.

გიორგი დარჯანია

იუვენტუსი საზაფხულოდ ბარძალი შეუკვეთა

დელ პიეროს დაჯდომამდე გაიხადა

ანდრეა ბარძალი

დეშანი დელ პიეროს: ნაკლები იფიქრე და გაიტან

დიდი ხანია, იტალიის ნაკრებისა და „პალერმოს“ მცველ ანდრეა ბარძალის „იუვენტუსში“ შესაძლო გადასვლაზე საუბრობენ. როგორც ჩანს, ტრანსფერი მართლაც ძალიან რეალურია, მაგრამ იგი მომავალ ზაფხულამდე არ განხორციელდება. ყოველ შემთხვევაში, „პალერმოს“ პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი ასე ამბობს.

„ტურინელებმა ბარძალის შეძენა ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე გვთხოვეს, მაგრამ ჩვენ უკვე გადაწყვეტილი გვქონდა მისი შენარჩუნება და შეთანხმებას მაინც ვერ მოვასწრებდით. ამიტომ ვუთხარით, რომ მოლაპარაკება მომავალ ზაფხულამდე გადაგვედო. ანდრეას გასხვისებას იანვარში არ ვაპირებთ, რადგან ახლა იგი ჩვენ უფრო გვჭირდება, ვიდრე „ბებერ ქალბატონს“. ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ სარფიან წინადადებას შემოგვთავაზებენ. არ დაგავიწყდეთ, რომ ბარძალის „პალერმოსთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს“ — თქვა ძამპარინიმ.

„ასკოლისა“ და „კიევოს“ ყოფილი ცენტრალური მცველი სიცილიურ კლუბში 2004 წელს გადაბარგდა. მას მერე „როსანერის“ მაისურით 79 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა. გასულ მუნდიალზე კი რამდენიმე შეხვედრაში ითამაშა და მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

„იუვენტუსმა“ კი ორშაბათს „ტრიესტინასთან“ მოგებით მინუს ქულებს თავი დააღწია და ახლა სერია **B**-ს ლიდერთან 16 ქულა აშორებს, თან თამაშით ნაკლები აქვს. მიუხედავად გამარჯვებისა, უკმაყოფილო იყო დიდიე დეშანი, რადგან მისმა შეგირდებმა მთლად დამაჯერებლად ვერ იბურთავეს.

„ბებერი ქალბატონის“ კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო კი „იუვენტუსის“ მაისურით კვლავ მეორასე გოლის მოლოდინშია. „ტრიესტინასთან“ მას რამდენიმე მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. 68-ე წუთზე კი დეშანმა იგი მარსელო ზალაიეტათი შეცვალა, რამაც თავდამსხმელის უკმაყოფილება გამოიწვია. იგი სათადარიგოთა სკამზე დაჯდომის მაგივრად პირდაპირ გასახდელისკენ გაეშურა.

დიდიე დეშანი: „მას ახლა რთული პერიოდი უდგას. დელ პიეროს კლასში დაეჭვება არ შეიძლება, მაგრამ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდის და ეს პრობლემებს უქმნის. უმჯობესი იქნება, თუ მეორასე გოლზე, რომელიც აუცილებლად მოვა, ნაკლებს იფიქრებს. მერე კი, როცა ამ გოლს გაიტანს, განთავისუფლდება და უკეთ ათამაშდება. ცვლილებებს რაც შეეხება, ყოველთვის ვცდილობ, ის გავაკეთო რაც გუნდისთვის უმჯობესია.“

„იუვენტუსის“ ბულგარელი ფორვარდი ვალერი ბოჟინოვი კი ამბობს, რომ შეეცდება, დელ პიეროს საგოლე პასი გაუკეთოს და ნანატრი მეორასე გაატანინოს. ბოჟინოვი, რომელსაც მომავალ ზაფხულს „ბებერი ქალბატონი“ ალბათ ბოლომდე გამოისყიდის, იმედოვნებს, რომ მომდევნო მატჩში დიდე დეშანი მას მინდორზე გაიყვანს.

„ახლა მას სჭირდება ეს გოლი, რათა „იუვენტუსის“ ისტორიაში ჩაეწეროს, თუმცა იგი უკვე კლუბის ისტორიაშია და გუნდის სიმბოლოა. ზედმეტი ლაპარაკი არ უნდა იმას, თუ ვინ არის დელ პიერო. ძალიან მინდა ამ გოლის გატანაში დავეხმარო. თუ შემდეგ მატჩში ვითამაშებ, მეკარეს მოვატყუებ და ალეს დაველოდები, რომ მან გაიტანოს და თავისუფლად ამოისუნთქოს.

შეკრული გუნდი გვყავს და თავს ყოველთვის მის წევრად ვგრძნობ, როცა არ ვთამაშობ მაშინაც. „იუვენტუსში“ გატარებული ორი თვის მანძილზე ბევრი რამ ვისწავლე, პირველ რიგში ის, რომ არავისთვის არაფერი მაქვს დასამტკიცებელი. უბრალოდ, ბევრი უნდა ვიმუშაო, გავაკეთო ის, რასაც მწვრთნელი მეტყვის და თანაგუნდელებს დავეხმარო“ — განაცხადა ახალგაზრდა თავდამსხმელმა.

აღსანიშნავია, რომ „იუვენტუსმა“ ზედიზედ ორი საგარეო მატჩი მოიგო ერთნაირი ანგარიშით — 1:0. ორჯერვე თავი „ინტერის“ ყოფილმა ნახევარმცველმა კრისტიანო ძანეტიმ გამოიჩინა, რაც ძალიან ახარებს.

„აქამდე ხუთ დღეში ორი გოლი არასდროს გამეტანა. თან ეს გოლები გადამწყვეტი გამოდგა და გახარებული ვარ. ჩემს კარიერაში უნიკალური პერიოდია. ბომბარდირობა არც მიფიქრია, ბურთი მომვიდა და მეც დავარტყი. შესაძლოა, ამჟამად ბრწყინვალე ფეხბურთს არ ვთამაშობთ, მაგრამ ახლა ჩვენთვის მთავარია ქულები“ — განაცხადა ძანეტიმ.

ჯანლუიჯი ბუფონი კი ამბობს, რომ სეზონის ბოლომდე „იუვეში“ დარჩება, მაგრამ რა მოხდება მერე, არ აკონკრეტებს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ იგი „ჩელსის“ დაუკავშირეს, ლონდონელები 25 მილიონ გირვანქას იხდიანო. თუმცა ჯიჯის აგენტმა სილვანო მარტინამ ეს ინფორმაცია მყისვე უარყო. ბუფონის მსურველებად „მილანი“, „ინტერი“, „რომა“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ მოიაზრებიან. იგი „იუვენტუსში“ 2001 წელს „პარმადან“ 33 მილიონ გირვანქად გადავიდა, რაც მეკარისთვის სარეკორდო თანხაა.

„იუვენტუსთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე მაქვს. ივნისამდე ნამდვილად აქ ვრჩები, მერე კი დავსხდებით და ყველაფერზე მოვილაპარაკებთ“ — თქვა ბუფონმა.

გიორგი კაკაბაძე

ფრანგულ „ლიონს“ კონკურენტ „მარსელთან“ საგარეო შთამბეჭდავი მოგება (4:1) ორი ფეხბურთელის ტრავმად დაუჯდა. ამ შეხვედრაში ფრედი და ფლორენ მალუდა დაშავდნენ. ექიმების თქმით, შესაძლოა, ფრედს ექვსი კვირა მოუწიოს უქმობა. მალუდას ტრავმა კი შედარებით მსუბუქია.

ბრაზილიელ მცველ ლუსიოს ტრავმა უფრო სერიოზული გამოდგა, ვიდრე თავიდან ჩანდა. 28 წლის ფეხბურთელს დაახლოებით სამი კვირა მოუწევს დასვენება. იგი გერმანიის თასზე „ლაუტერნთან“, ბუნდესლიგაში „აინტრახტთან“, „შალკესთან“ და „ჰანოვერთან“, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ლისაბონის „სპორტინგთან“ მატჩებს გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნის“ ლაზარეთში კიდევ ერთი მცველია, ვალერიან ისმაელი, რომელსაც ფეხი აქვს მოტეხილი.

ფრანგული „მონაკოს“ მთავარი მწვრთნელი ლასლო ბოლონი მოხსნეს. „ლუი მეორის“ ბინადრებმა ჩემპიონატის 10 ტურიდან 7 მატჩი წააგეს და ბოლოდან მეორე ადგილზე არიან. გასულ უქმეებზე „ტულუზთან“ საშინაო მარცხი ბოლო წვეთი გამოდგა ხელმძღვანელობისთვის, რომელმაც ზაფხულში ფრანჩესკო გვიდოლინის ნაცვლად მისული ბოლონი დაითხოვა. გუნდს დროებით ლორენ ბანიდე უთავკაცებს.

ესპანეთის ნაკრებისა და „ვალენსიას“ ნახევარმცველი დავიდ ალბელდა ორი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. მან ტრავმა „ოსასუნასთან“ მატჩში მიიღო. ალბელდა „ლამურების“ ლაზარეთში ასიერ დელ ორნოს, კარლოს მარჩენას, რუბენ ბარახასა და ვისენტეს შეუერთდა. ბოლო ორის მომჯობინებას ექიმები მალე ელიან, ხოლო დანარჩენები საკმაოდ სერიოზულად არიან დაშავებულნი.

პორტუგალიური „ბოავიშტას“ მთავარი მწვრთნელის პოსტი ჟელკო პეტროვიჩმა დატოვა. 40 წლის სპეციალისტმა ეს გადაწყვეტილება მას მერე მიიღო, რაც მისმა გუნდმა „ნასიონალთან“ შინ 0:4 წააგო. პეტროვიჩი პოსტზე სულ ორი თვე გახლდათ. მან ზაფხულში „პორტუში“ გადასული ჟესუალდო ფერეირა შეცვალა, მაგრამ უხეიროდ. „ბოავიშტა“ ამჟამად ჩემპიონატში ბოლოდან მეოთხეა. მწვრთნელობის კანდიდატებად ჟაიმე პაჩეკოსა და ანტონიო სოუზას ასახელებენ.

რუმინელი ახალგაზრდა ქომაგი „სტიაუასა“ და „რეალის“ მატჩს შეეწირა. 17 წლის იონუტ ჩიორიანუ „სამეფო გუნდის“ ფანი ყოფილა და როგორც ჩანს, ამის გამო 16 წლის კოსტელ დინუსთან შელაპარაკება მოუვიდა. შედეგად დინუმ ჩიორიანუს საფეთქელში დაარტყა, რომელიც რამდენიმე წუთში ადგილზევე გარდაიცვალა, მიუხედავად იმისა, რომ სასწრაფო მალევე იქ გაჩნდა. ეს ინციდენტი ბუქარესტში გასულ პარასკევს მოხდა. დინუ დაკავებულია და სასჯელი ემუქრება.

ვალტერ ნოველინო

საჰაერო ბოთლები

ბერგამოს პოლიცია ყურებს არ იბერტყავს

გენუის „სამპდორიას“ მწვრთნელ ვალტერ ნოველინოს კვირას მძიმე დღე ჰქონდა. მისი გუნდი ბერგამოში „ატალანტასთან“ 2:0-ს იგებდა, მაგრამ მსაჯმა მასპინძლებს ორი პენალტი დაუნიშნა და საბოლოოდ „ატალანტამ“ 3:2 მოიგო. ბოლოს კი ნოველინო „ატალანტას“ ფანებს წაეჩხუბა, რომლებიც მას ბოთლებსა და სხვადასხვა საგნებს ესროდნენ.

„ატალანტას“ ტიფოზების განრისხება ნოველინოსა და ბერგამოელთა ფორვარდ რიკარდო ძამპანას შელაპარაკებას მოჰყვა. „სამპდორიას“ მწვრთნელის აზრით, ძამპანამ ისიმულანტა და პენალტი ასე მოინაგრა.

„იმ ფანების ქცევა, რომლებიც მლანძღავდნენ და სხვადასხვა საგნებს მესროდნენ, არანორმალურია. ასეთი რამეები არ უნდა ხდებოდეს. არ მინდა, ყველას შევეხო, მაგრამ ის გულშემატკივრები, რომლებიც ასე იქცეოდნენ, მდაბიოები არიან. დახმარება ოფიციალურ პირებსა და სამართალდამცავებსაც ვთხოვე, მაგრამ ყურიც არავინ შეიბერტყა. მესმის, მოგვეგო და მათი გაბრაზება ამას გამოეწვია, მაგრამ ჩვენ ხომ წავაგეთ... ეს ჩემთვის ძალიან ცუდი დღე იყო“ — თქვა ნოველინომ.

იტალიურ პრესაში კი ისევ ალაპარაკდნენ ნოველინოს მოხსნაზე. დიდი ხანია, იგი „სამპდორიას“ უდგას სათავეში, მაგრამ წინა და მიმდინარე სეზონის დასაწყისი გენუელებმა ცუდად ჩაატარეს. ნოველინოს გადადგომას „სამპდორიას“ ქომაგთა დიდი ნაწილიც ითხოვს.

ძოკი კანდელაკი

პოლიტიფოზები
მილანელი ლომის ბუნაგი

იტალია, ბერგამო, 1964 წელი. ქალაქის მთავარ მოედანზე ფაშისტთა მიტინგი იკრიბება, უკიდურესად მემარჯვენენი თავიანთი აზრის ხმამაღლა გამოთქმას აპირებენ. აქ არის მუსოლინის ძველი გვარდია, ომს და დავიდარაბას გადარჩენილი სვასტიკის და მკაცრი ხელის მოყვარული, აგრეთვე ქალაქის ბურჟუაზიის ნაწილი. პატივცემული მოქალაქეები, მზარდი კომუნისტური განწყობა რომ აშფოთებთ და ძველ, „კეთილ" დუჩეს მისტირიან... ჰაერი კონსერვატორული სულისკვეთებით იუღინთება, მემარჯვენენი წარსულის ნოსტალგიაში იძირებიან და საფრთხეც თითქოს არსაიდან ჩანს — პოლიცია მიტინგის დაშლას არ აპირებს. თუმცა... „სიკვდილი ფაშისტებს, თავისუფლებას გაუმარჯოს!" — გაისმის უეცრად და მოედანიც წამში ჯოჯოხეთს ემსგავსება. ვიღაც უცხონი, აშკარად პროლეტარული წარმომავლობისა, თავყრილობის მონაწილეთ შეესივნენ და ნაჯაფარი მუშტები მარჯვედ დაატრიალეს. კონსერვატორთა რიგებში პანიკაა, მიტინგი იშლება, ხოლო „ის ვიღაც უცხონი" ტურინელი მუშები არიან „ფაშისტების შეკრება საფეხბურთო კლუბ „ტორინოს" კომუნისტურმა ბრიგადამ „ფედელისიმი კლუბმა" დაარბია...

ულტრასთა დაჯგუფებები იტალიაში გასულ საუკუნის სამოციან წლებში შეიქმნა, თუმც სანამ თვითონ დაჯგუფებებზე, მათ იდეოლოგიაზე და ცხოვრების წესზე მოგითხრობდეთ, უმჯობესი იქნება, „იტალიური ნიადაგი" განვიხილოთ, ადგილი, საიდანაც მსოფლიოში ყველაზე საოცარი, მრავალფეროვანი და აგრესიული ტიფოზთა ბრიგადები აღმოცენდნენ.

ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი, რაც ფეხბურთს უკავშირდება, ინგლისიდან მოდის და ფანთა დაჯგუფებების გაჩენაც ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. 60-იან წლებში ნისლიან ალბიონზე აღმოაჩინეს, რომ ფეხბურთის მატჩის დროს, ან თამაშის დამთავრების შემდეგ, მოზღვავებული ენერგია მეტოქე გუნდის გულშემატკივრებთან მუშტი-კრივით შეიძლება გამოხატო. რა თქმა უნდა, ინგლისურ მიწა-წყალზე საფეხბურთო მუშტიკრივები ადრეც იმართებოდა და საერთოდ ფეხბურთთან დაკავშირებული დაკა-დაკაც ისეთივე ძველია ამ ქვეყანაში, როგორც თავად ფეხბურთი. არსებობს მავანი მხატვრის ძველი სურათი, სადაც 1848(!) წელს რომელიღაც მატჩის შემდეგ გულშემატკივართა ბრძოლაა ასახული — მეცხრამეტე საუკუნის სამოსში გამოწყობილი ცილინდრიანი ხალხი ერთმანეთში სამკვდრო-სასიცოცხლოდაა გადახლართული, თუმცა, ის ძველი ანარქიული ჩხუბები ორგანიზებულობით ვერ გამოირჩეოდნენ, 40-50 წლის წინ კი ფანური მოძრაობა საკლუბო გულშემატკივრობის წესით დალაგდა და დიდი ომებიც დაიწყო. ლუდით შემთვრალი და მაშინ ახლადაღმოცენებული როკ მუსიკით სისხლამღვრეული ჩრდილოელები ერთმანეთს დაერივნენ — „მანჩესტერის" ფანები „ლივერპულისას", „არსენალისა", „ტოტენჰემისას", „ჩელსისა", „ფულემისას" და ასე შემდეგ. ოღონდ ამათი ჩხუბები, როგორ ვთქვათ, „უბოროტო" იყო, ყოველგვარ პოლიტიკას და იდეოლოგიას მოკლებული. როცა შენ მანჩესტერელი ხარ, იცი, რომ ლივერპულს უნდა ეძგერო და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მემარცხენე რადიკალია ის შენი მეტოქე თუ მემარჯვენე კონსერვატორი, ან სულაც ფაშისტი.

ეს ინგლისში, თორემ იტალია თავად არის პოლიტიკა. და მაშინ, როცა ტიფოზთა დაჯგუფებები იქმნებოდა, ანუ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, აპენინელთა ცხოვრებაში პოლიტიკასთან დაკავშირებული პროცესები ძალიან დიდ როლს თამაშობდა. 1968-69 წლებში იტალია ეგრეთწოდებულმა "სტუდენტურმა ბუნტებმა" შეარყია. კომუნისტურად და ანარქისტულად განწყობილი ახალგაზრდათა ჯგუფები მთავრობის, ეკლესიისა და ყოველგვარი ზომიერის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ჩამოყალიბდა მეომარი ბრიგადები, რომლებმაც იტალიის თითქმის ყველა დიდი ქალაქის ქუჩები და მოედნები დაიპყრეს. მეამბოხეთა და პოლიციას შორის სისხლიანი შეტაკებები ხშირად იმართებოდა. მალე „ბუნტმა" სტადიონზეც გადაინაცვლა. ტიფოზთა პირველი სერიოზული დაჯგუფების შექმნის პატივი მილანელებს ეკუთვნის, 1968 წელს ამ კლუბის გულშემატკივრებმა დაარსეს მემარცხენე იდეოლოგიის ერთგული ბრიგადა „ლა ფოსა დე ლეონი" („ლომის ბუნაგი"). მერე იყო „ინტერის" „ბოის" („ბიჭები") და „ბოლონიას" „რედ ენდ ბლუ კომანდოს" (ალისფერ-ცისფერი ბრიგადები).

სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივართა განსაკუთრებულ კასტას ფანობაც განსაკუთრებული, „ინგლისური" ჰქონდა. იტალიელები ალბიონელთა მიერ დანერგილ წესებს (სპეციფიკური ტანისამოსი, მთელი მატჩის განმავლობაში ფეხზე დგომა და გაუთავებელი სიმღერები, ერთი, ამოჩემებული ტრიბუნა, სადაც სხვა, „უბრალო" გულშემატკივარს ფეხის შედგმა არ შეუძლია და ა.შ.) გულმოდგინედ იცავდნენ. თუმცა ესენი, ინგლისელთაგან განსხვავებით, თავიანთი პარტიებთან მტკიცედ იყვნენ შეკრულნი — მემარცხენეთათვის სტადიონზე მისვლა და ბოლშევიკური ლოზუნგების ღრიალი ქუჩის მიტინგის გაგრძელება იყო...

და კონსერვატორები? ზომიერები და ნეონაცისტები, „სტუდენტურმა ბუნტებმა" ქუჩებიდან თუ მოედნებიდან კინწრისკვრით გამოყარა. ისინიც ადგნენ და სტადიონებს მიაშურეს. იტალიაში ფაშისტი ფანატების სიმრავლით „ლაციო" „ინტერის" და „ვერონა" გამოირჩევიან. სტადიონზე მისულ კონსერვატორებს შეეძლოთ, კომუნისტთა თავდასხმებისგან თავი ერთად დაეცვათ.

ულტრასთა ჯგუფები (ინგლისელ თანამოძმეთა მსგავსად) მეტოქე ტიფოზებს ებრძოდნენ და მოკავშირნეებთან ალიანსებში ერთიანდებოდნენ. თუმცა ეს ბრძოლაც და ალიანსებიც მკვეთრი პოლიტიკური ელფერით ხასიათდებოდა. მაგალითად; „მილანი" დღესაც კი, (როცა იდეოლოგიური ვნებანი შედარებით ჩამცხრალია) მუშათა, კერძოდ კი რკინიგზელთა გუნდად ითვლება და სასტიკად სძულს თანაქალაქელი, მემარჯვენე „ინტერი". თავის მხრივ „ინტერნაციონალეს" ქალაქ მილანის ზომიერი მოსახლეობა ეთაყვანება. „რომა" დღესაც მემარცხენეა, ხოლო „ლაციო" პირწავარდნილი ფაშისტი. იტალიელები მოკავშირეებს და მტრებს უცხოეთშიც კი პოლიტიკური ნიშნით ჰყოფენ. მაგალითად, რომაულ „ლაციოს" და მადრიდის „რეალს" ერთმანეთთან მტკიცე ფაშისტური ძმობა აკავშირებთ. „ლაციო" ესპანეთში კიდევ ერთ ნაცისტურ დაჯგუფებას, „ესპანიოლის" ბრიგადას მეგობრობს. მემარცხენე „რომა" კი კატალონიური „ბარსელონას" ძმაკაცია...

ლადო ხომერიკი

გაგრძელება იქნება

ნორვეგია
I დივიზიონი. XXVIII ტური

ბოდიო გლიმტი — ალესუნდი 0:2; ბრინი — სოგნდალი 2:1; ფოლო — ლოვ ჰამი 3:2; ჰაონეფოსი — ჰიოდი 3:0; კონგსვინგერი — ტრიომსდალენი 2:2; ოსლო იოსტი — სპარტა 1:2; პორს გრენლანდი — ჰაუგესუნდი 4:3; სტრიომსგოდსეტი — მოსი 1:0

ბრაზილია
სერია A
XXX ტური

ვასკუ და გამა — პალმეირასი 3:0; გოიასი — სანტა კრუზი 5:3; პონტე პრეტა — ინტერნასიონალი 0:2; სანტოსი — ფიგეირენსე 2:1; ფორტალეზა — ატლ. პარანენსე 3:4; გრემიო — სან პაულუ 1:1; პარანა — ფლამენგო 0:2; ბოტაფოგო — სან კეეტანო 2:1; კორინთიასი — კრუზეირო 1:0; ფუვენტუდე — ფლუმინენსე 1:1

ჩილე
პრიმერადივიზიონი
XIV ტური

ევერტონი — ლა სერენა 1:1; უნივერსიდად დე ჩილე — უონდერერსი 2:0; რეინჯერსი — უნიონ კონსეპსიონი 2:1; უაჩიპატო — უნიონ ესპანიოლა 1:0; სან მორნინგი — პუერტო მონტი 2:0; კობრელოა — კოლო კოლო 2:2; ო ჰიგინსი — აუდაქს იტალიანო 1:0; კობრესალი — უნივერსიდად კათოლიკა 1:2; კოკიმბო — პალესტინო 3:0

ირლანდია
პრემიერლიგა
XXVII ტური

კორკი — სლიგო 2:0; სენტ პატრიკსი — ბრეი 5:1; დუბლინი — შელბურნი 0:2; უოტერფორდი — ლონგფორდი 1:2; დერი — დროჰედა 0:0

რუმინეთი
A დივიზიონი
XII ტური

უნირეა — ვასლუი 1:0; ფარული — პეტროსანი 0:0; კლუჟი — არჯეში 2:0; გლორია — დინამო 0:1; პანდურიი — ტიმოშოარა 1:0; ნაციონალი — უნივერსიტატეა 1:2; პოლიტეხნიკა — რაპიდი 0:0; ოცელული — სტიაუა 2:1; ჩაპლაული — არადი 2:1

ხორვატია
I დივიზიონი
XI ტური

ზაგრები — ციბალია 3:0; ვარტექსი — შიბენიკი 2:1; ჰაიდუკი — პულა 2:0; კამენი — სლავენი 1:3; რიეკა — მედიმურიე 1:3; ოსიეკი — დინამო 0:4

სლოვენია
I ლიგა
XV ტური

დრავა პტუი — ნოვა გორიცა 3:1; ნაფტა — პუბლიკუმი 2:1; კოპერი — მარიბორი 2:2; პრიმორიე — დომჟალე 0:2; ფაქტორი — ბელა კრაინა 1:1

შკრაინა
უმაღლესი ლიგა
XI ტური

მეტალისტი — მეტალურგი (დ) 1:0; დინამო — სტალი 3:1; ზარია — ილიჩევეცი 1:1; კრივბასი — ვორსკლა 0:0; შახტარი — არსენალი 0:1; კარპატი — ხარკოვი 1:0; ჩერნომორეცი — დნიპრო 0:1; მეტალურგი (ზ) — ტავრია 1:0

დანია
I დივიზიონი
XII ტური

ჰელერუპი — ფრემი 2:4; ფრემადი — ნესტვედი 0:5; კოლდინგი — აკადემისკი 1:1; იოლსტიკე — ჰერფიოლგე 3:1; ტისტედი — ფრედერისია 2:2; ორჰუსი — ფკ ორჰუსი 2:0; კიოგე — სიონდერისკე 2:1; ლიუნგბიუ — ბრაბრანდი 3:2

შვედეთი
სუპერლიგა. XXXI ტური

ატვიდაბერგი — ლანდსკრონა [illegible]; მაპოიკარნა — ტრელებორგი 1:2; დეგერფორსი — სუნდსვალი 0:3; ფალკენბერგი — მიალბი 0:3; ლიუნგსკილე — იონკოპინგი 1:1; ნორჩიოპინგი — ქვიდინგი 5:1; იორებრო — ასირისკა 2:1; უმეა — ვასბი 2:3

არგენტინა
აპერტურა. XII ტური

ნუევა ჩიკაგო — სან ლორენსო 2:1; არსენალი — კოლონი 2:1; ველესი — ინდეპენდიენტე 2:1; გოდოი კრუზი — ესტუდიანტესი 1:3; არგ. ხუნიორსი — ბელგრანო 2:1; ოლდ ბოისი — ბანფილდი 0:0; კილმესი — ხიმნასია (ხ) 2:0; რივერ პლეიტი — როსარიო 2:0; ლანუსი — ხიმნასია (ლ) 0:1. რასინგი — ბოკა ხუნიორსი გადაიდო

მექსიკა
აპერტურა. XIV ტური

ტეკოსი — ატლანტე 3:1; სან ლუისი — ნეკაქსა 1:1; ვერაკრუსი — კრუზ ასული 0:2; მორელია — კერეტარო 1:0; ტიგრესი — გვადალახარა 0:0; ატლასი — მონტერეი 2:1; ტოლუკა — სანტოსი 1:0; ხაგუარესი — პაჩუკა 0:1; ამერიკა — უნამი 2:0

სერბეთი
სუპერლიგა. X ტური

ბორაცი — ბეზანიჯა 1:1; ჰაიდუკი — პარტიზანი 0:1; სარტიდი — ვოივოდინა 0:0; ვოზდოვაცი — მლადოსტი 0:0; ზემუნი — ბანატი 0:1; ცრვენა ზვეზდა — ოფკ 1:0

იაპონია
ჯეი ლიგა. XXVIII ტური

კოფუ — ნაგოია 2:1; კიოტო — ოიტა 1:1; იოკოჰამა — კაშიმა 2:1; ფუკუოკა — ივატა 2:1; იჩიჰარა — ომია 1:3; შიმიცუ — ნიიგატა 1:1; ურავა — კავაზაკი 2:2; სერეზო — ჰიროშიმა 4:2; ტოკიო — გამბა 3:2

სლოვაკეთი
I ლიგა. XVII ტური

ინტერი — ნიტრა 3:0; ბანსკა ბისტრიცა — სენეცი 1:1; დუბნიცა — სლოვანი 1:1; რუჟომბეროკი — კოშიცე 1:1; ტრნავა — ტრენჩინი 3:2; ჟილინა — არტმედია 3:0

უნგრეთი
ბორსოდი ლიგა
X ტური

დებრეცენი — დიოშდიორი 1:1; პაკში — ზალაეგერსეგი 2:0; ტატაბანია — მტკ 2:4; პეჩი — შოპრონი 0:0; ფეჰერვარი — ჰონვედი 1:0; ვაცი — დიორი 0:0; ვაშაში — რეაკი 1:0; კაპოშვარი — უიპეშტი

ავსტრია
I დივიზიონი
XIII ტური

ადმირა — კაპფენბერგი 2:4; აუსტრია (ვ) — კერნტენი 1:2; ლუსტენაუ — პარნდორფი 1:1; გრატკორნი — შვანენშტადტი 0:0; ლინცერი — ჰარტბერგი 4:0; ლეობენი — აუსტრია (ლ) 6:2

შვეიცარია
ჩელენჯლიგა
XI ტური

ოუვენტუსი — შო დე ფონი 0:3; ვადუცი — ლუგანო 1:0; ბელინცონა — ვოლენი 4:0; კიასო — კონკორდია 1:1; ქსამაქსი — ლოკარნო 4:1; ვილი — ივერდონი 4:2; სერვეტი — კრინსი 4:2; დელემონი — ბოლმი 1:0; ლოზანა — ვინტერთური 2:2

აშშ
MLS. პლეი ოფი
1/4 ფინალი. I მატჩები

ნიუ იორკი — ვაშინგტონი 0:1; კოლორადო — დალასი 1:2; ჩიკაგო — ნიუ ინგლენდი 1:0; ჩივასი — ჰიუსტონი 2:1

სარბიელი ✕ კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია A						
		25 ოქტომბერი						
22:30	138	ატალანტა-კალიარი	1.95	2.90	4.30	1.16	1.34	1.73
22:30	139	კოკო-მილანი	5.50	3.20	1.65	2.02	1.26	1.08
22:30	141	ემპოლი-უდინეზე	3.00	2.90	2.40	1.47	1.33	1.31
22:30	142	ინტერი-ლივორნი	1.30	4.50	10.00	1.00	1.15	3.10
22:30	144	პალერმო-მესინა	1.45	3.60	8.00	1.03	1.22	2.48
22:30	146	რეჯინა-პარმა	2.10	2.90	3.70	1.21	1.33	1.62
22:30	147	რომა-ალეკლი	1.27	4.70	11.00	1.00	1.13	3.29
22:30	149	სამპდორია-ლაციო	1.95	3.00	4.00	1.18	1.31	1.71
22:30	150	სიენა-კატანია	2.00	3.00	3.85	1.20	1.31	1.68
22:30	151	ტორინო-ფიორენტინა	3.20	2.90	2.30	1.52	1.33	1.28
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		25 ოქტომბერი						
22:00	263	გრონინგენი-ექსელსიორი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
22:00	264	ჰერაკლესი-ვალვიკი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
22:00	265	ნაიმეგენი-როდა	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
22:00	266	პსვ-სპარტა	1.12	6.50	15.00	1.00	1.04	4.53
22:15	268	აიაქსი-დენ ჰაგი	1.12	6.50	15.00	1.00	1.04	4.53
		26 ოქტომბერი						
22:00	270	ფეიენოორდი-ტვენტე	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
22:00	271	ბრედა-უტრეხტი	2.40	3.30	2.60	1.38	1.24	1.45
22:00	272	ტილბურგი-ალკმაარი	5.50	3.60	1.55	2.17	1.20	1.08
		რუსეთი						
		24 ოქტომბერი						
16:00	349	ნალჩიკი-შინიკი	1.22	5.20	9.50	1.00	1.08	3.36
		25 ოქტომბერი						
19:00	342	სპარტაკი-დინამო	1.60	3.20	5.40	1.06	1.23	2.00
16:00	343	ცსკა-მოსკოვი	1.35	3.80	8.50	1.00	1.16	2.62
16:00	345	კრილია-საბჭოთა	2.25	3.00	2.90	1.28	1.26	1.47
16:00	346	ლოკომოტივი-ტორპედო	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
16:00	347	რუბინი-ალანია	1.65	3.30	4.80	1.10	1.22	1.95
16:00	348	რუბინი-ხიმკი	3.70	3.20	1.85	1.71	1.23	1.17
		დანია. სუპერლიგა						
		25 ოქტომბერი						
20:00	389	ბრაინდბიუ-ოლბორგი	1.90	3.30	3.55	1.20	1.23	1.71
21:00	390	ჰორსენსი-ესბიერგი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
21:00	391	ნორდსიელანდი-მიდტიელანდი	2.35	3.30	2.65	1.37	1.24	1.46
21:00	392	რანდერსი-ვეილე	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
21:00	393	სალკებორგი-ვიბორგი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
22:00	394	ოდენსე-კოპენჰაგენი	2.85	3.30	2.20	1.52	1.24	1.32
		ირლანდია						
		24 ოქტომბერი						
22:45	447	დერი-შელბურნი	2.40	3.00	2.80	1.33	1.29	1.44
		ბრაზილია						
		25 ოქტომბერი						
23:45	482	კორინთიანსი-პალმეირასი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
		26 ოქტომბერი						
23:45	483	ფლამენგო-გრემიო	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
23:45	484	ინტერნაციონალი-ფლამენგო	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
23:45	488	სანტა კრუზი-ფორტალეზა	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
23:45	491	ვასკო და გამა-ფლამენგო	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
		გერმანია. თასი						
		24 ოქტომბერი						
21:30	501	ბოხუმი-კარლსრუე	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
21:30	502	დორტმუნდი-ანინგერი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
21:30	503	ლიუბეკი-ბურგაუზენი	2.35	3.10	2.80	1.33	1.27	1.47
21:30	504	პარმბერნი-ინტერანინგი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
21:30	505	ზაარბრიუკენი-ფიურტი	3.10	3.10	2.15	1.54	1.26	1.26
21:30	506	ვოლფსბურგი-ფრაიბურგი	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
22:30	507	კიოლნი-შალკე	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
		25 ოქტომბერი						
21:00	508	ალემანია-აკენ	1.45	3.70	6.70	1.04	1.19	2.38
21:30	509	დუისბურგი-ლეგერვეზენი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
21:30	510	ოსნაბრიკი-მიონხენგლადბახი	4.70	3.30	1.70	1.93	1.24	1.12
21:30	511	პადერბორნი-ნიურნბერგი	3.60	3.20	1.95	1.69	1.26	1.21
21:30	512	ფულენდორფი-ოფენბახი	3.10	3.20	2.10	1.57	1.25	1.26
21:30	513	ეზენი-ინტრახტი	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30
22:00	514	კაიზერსი-ჰერტა	4.40	3.30	1.75	1.88	1.25	1.14
22:30	515	ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი	1.22	5.00	11.00	1.00	1.09	3.43
		ინგლისი. თასი						
		24 ოქტომბერი						
22:45	518	წესტერფილდი-ვესტ ჰემი	5.00	3.40	1.65	2.02	1.24	1.11
23:00	520	ექსეტერი-ლუტონი	1.40	4.10	6.70	1.04	1.15	2.54
22:45	521	ლიდსი-საუთენდი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
22:45	522	ლესტერი-ასტონ ვილა	4.00	3.30	1.80	1.80	1.24	1.16
22:45	526	ნიუსი-საუთჰემპტონი	3.80	3.30	1.90	1.76	1.26	1.20
22:45	527	პორტ ვეილი-ნორვიჩი	2.70	3.30	2.30	1.48	1.24	1.35
22:45	528	შეფილდი-ბირმინგემი	1.95	3.30	3.50	1.22	1.25	1.69
22:45	529	უოტფორდი-პაღლი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
22:45	530	ვესტ ბრომვიჩი-არსენალი	4.10	3.40	1.80	1.85	1.25	1.17
22:45	531	უიგანი-დონკასტერი	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
		25 ოქტომბერი						
23:00	516	ბლეკბერნი-ჩელსი	4.00	3.40	1.80	1.83	1.24	1.17
23:00	517	ნარლტონი-ბოლტონი	2.50	3.30	2.55	1.42	1.26	1.43
22:45	519	ჭრიუ-მანჩესტერი	7.50	4.30	1.35	2.73	1.14	1.02
23:00	523	ლიფერპული-რედინგი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
22:45	524	დონი-ტოტენჰემი	7.00	4.00	1.40	2.54	1.16	1.03
22:45	525	ნიუკასლი-პორტსმუთი	2.20	3.30	2.85	1.32	1.24	1.52
		სლოვაკეთი. თასი						
		24 ოქტომბერი						
17:00	559	ინტერი-ჟილინა	3.10	3.10	2.10	1.54	1.25	1.25
		ესპანეთი. თასი						
		24 ოქტომბერი						
22:45	560	ალავესი-სელტა	3.20	3.10	2.10	1.57	1.26	1.25
23:00	561	ატლეტიკო-ლეგანესი	1.50	3.60	5.70	1.05	1.18	2.20
		25 ოქტომბერი						
23:00	562	მალაგა-სოსიედადი	2.35	3.10	2.70	1.33	1.25	1.44
22:30	563	პენა -ოსასუნა	9.00	4.50	1.30	3.00	1.13	1.00
22:30	564	სეგოვია-სევილია	9.50	4.70	1.25	3.14	1.10	1.00
22:45	565	რაიო-ესპანიოლი	3.90	3.30	1.85	1.78	1.25	1.18
21:00	566	ჰორტეზენსე-ვალენსია	9.50	4.80	1.25	3.18	1.10	1.00
22:45	567	დეპორტივო-რასინგი	1.60	3.50	4.90	1.09	1.20	2.04
22:45	568	ვალიადოლიდი-ტარაგონა	2.50	3.10	2.65	1.38	1.28	1.42
23:00	569	ჰერეზანო-სარაგოსა	4.50	3.30	1.70	1.90	1.23	1.12
23:00	570	სერვეხი-ხეტაფე	2.70	3.10	2.45	1.44	1.28	1.36
23:30	571	კასტელონი-ვილეარეალი	4.40	3.30	1.70	1.88	1.22	1.12
23:30	572	უელვა-ბეტისი	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
23:45	573	ბადაიო-მალიორკა	2.10	3.10	3.30	1.25	1.28	1.59
23:45	574	ბადალონა-ბარსელონა	11.00	5.80	1.20	3.79	1.08	1.00
		26 ოქტომბერი						
22:00	575	ესპანიოლი-რეალი	9.50	5.00	1.25	3.27	1.10	1.00
		საფრანგეთი. თასი						
		24 ოქტომბერი						
22:00	532	ლე მანი-ლანსი	2.40	2.80	3.00	1.29	1.33	1.44
22:00	533	ნანსი-ტულუზი	2.15	2.90	3.20	1.23	1.28	1.52
22:00	534	რეიმსი-მონაკო	3.00	3.00	2.25	1.50	1.28	1.28
22:00	535	სოშო-დიჟონი	1.55	3.40	5.80	1.06	1.22	2.14
23:00	536	ლილი-რენი	1.80	3.00	4.30	1.12	1.26	1.76
		25 ოქტომბერი						
19:00	537	სტ-ეტიენი-მარსელი	2.65	2.80	2.70	1.36	1.33	1.37
22:00	538	ოსერი-ბორდო	2.20	2.90	3.15	1.25	1.29	1.50
23:00	539	ლიონი-პსჟ	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
		ბელგია. თასი						
		25 ოქტომბერი						
22:45	540	მეხელენი-ბეერსხოტი	3.30	3.20	2.10	1.62	1.28	1.26
		თურქეთი. თასი						
		24 ოქტომბერი						
21:00	541	მანისა-ტრაბზონი	2.25	3.10	2.90	1.30	1.26	1.49
		25 ოქტომბერი						
16:00	542	ანკარაგუჯუ-რიზე	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
21:00	543	გალათასარაი-ბურსა	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
		26 ოქტომბერი						
21:00	544	ფენერბაჩე-გაზიანთეფი	1.30	4.20	8.00	1.00	1.11	2.75
		სამხრეთ ამერიკის თასი						
		25 ოქტომბერი						
23:45	556	სან ლორენსი-ტოლუკა	1.95	3.30	3.20	1.22	1.21	1.62
23:45	557	ატლეტიკო პრ-ნასიონალი მ	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
		26 ოქტომბერი						
23:45	558	ხიმნასია ლპ-კოლო კოლო	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09
		ჰოკეი. შვედეთი						
		24 ოქტომბერი						
21:00	646	იუტგორდენი-ძოდი	2.00	4.10	2.35	1.34	1.08	1.49
21:00	647	ფერენტადი-ლინხიოპინგი	1.90	4.20	2.55	1.30	1.08	1.58
		ჰოკეი. ფინეთი						
		24 ოქტომბერი						
19:30	664	ილვესი-კერპეტი	2.50	4.10	1.90	1.55	1.07	1.29
19:30	665	ჰაამეენლინა-ესპუი	1.35	4.50	3.80	1.03	1.00	2.06
19:30	666	ლუკო-ჰელსინკი	1.95	4.30	2.30	1.34	1.05	1.49
19:30	667	პელიკანი-კალპა	1.40	4.50	4.50	1.06	1.06	2.25
19:30	668	სეიპა-ტაპარა	2.15	4.10	2.20	1.41	1.08	1.43
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		24 ოქტომბერი						
19:00	684	ვსეტინი-ლიბეროეცი	3.00	4.10	1.70	1.73	1.08	1.20
19:00	685	ვოტკოვიცე-ტრენჩინეცი	1.80	4.10	2.80	1.25	1.09	1.66
19:30	686	ზნოიმო-ზლინი	1.90	4.00	2.55	1.28	1.08	1.55
19:30	687	კლადნო-სპარტა	2.35	4.00	2.10	1.48	1.10	1.37
19:30	688	ლიტვინოვი-კარლოვი ვარი	1.70	4.10	3.00	1.20	1.08	1.73
20:00	689	პარდუბიცე-პლზენი	1.55	4.30	3.50	1.13	1.07	1.92
21:00	690	სლავია-ბუდეიოვიცე	1.80	4.00	2.80	1.24	1.09	1.64
		ჰოკეი. გერმანია						
		24 ოქტომბერი						
21:30	715	დიუსელდორფი-აუგზბურგი	1.80	4.10	2.85	1.25	1.10	1.68
21:30	716	ნიურნბერგი-კრეფელდი	1.55	4.20	3.55	1.13	1.07	1.92
		ჰოკეი. შვეიცარია						
		24 ოქტომბერი						
21:45	731	ციურიხი-ბასელი	1.75	4.20	2.80	1.23	1.07	1.67
		ჰოკეი. რუსეთი						
		24 ოქტომბერი						
14:00	746	ს.იულაევი-სევერსტალი	1.30	4.60	4.80	1.01	1.02	2.34
10:00	747	ამური-ძვდ	2.80	4.20	1.65	1.67	1.03	1.18
14:00	748	კრილია-დინამო	3.50	4.50	1.45	1.96	1.02	1.09
14:00	749	ლადა-ავტ	1.85	4.50	2.40	1.31	1.04	1.56
14:00	750	ხიმკი-ავანგარდი	1.95	4.30	2.40	1.34	1.07	1.54
14:00	751	მაგნიტოგორსკი-ნოვოკუზნეცკი	1.20	5.00	6.00	1.00	1.00	2.72
14:00	752	ტრაქტორი-სიბირი	2.85	4.30	1.65	1.71	1.04	1.19

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ალაგ ქულებ, ალაგ პასებ, ალაგ მოხსნის ფერია

ქართული ლეგიონი

ვახტანგ ნაცვლიშვილის გარჯამ „დიჟონს“ ვერ მოაგებინა

ქართველ ლეგიონერებს არცთუ გამორჩეული კვირეული ჰქონდათ, თუმც ისე როგორ იქნებოდა, აქა-იქ რომელიმე ჩვენიანს არ გამოენათებინა. ვინც კარგად ითამაშა, სამწუხაროდ, მისი გუნდი დამარცხდა, ხოლო მოგებულ თამაშებში ქართველთა მონაგარი უმნიშვნელო იყო, თუ არ ჩავთვლით ზაზა ფაჩულიას „ორლანდოსთან“ განავარდებას.

ცინცაძეზე აქამდეც ვწერდით, რომ მას შუა კვირაში გამართულ მატჩში გვარიანი ქულათა მარაგი არ დაუფასდა, რაკი მისმა გუნდმა წააგო. ესტონური „როკი“ მეზობელ ლიტვაში გადავიდა და ბალტიის ლიგის ეგიდით ჯერაც მოუგებელ „ატლეტასს“ დაეჭიდა. სწორედ ამ მატჩში დაკარგა ცინცაძემ ლიგის მეპასეთა შორის ლიდერობა, რაკი მანამდე საშუალოდ 7-ს აგროვებდა, „ატლეტასთან“ კი ერთადერთი შედეგიანი გადაცემა გაახერხა.

ბურთის გათამაშება არ გამოუვიდა, თუმც ცინცაძემ ქულები საკმარისად აგროვა. 30 წუთში მან 20 ქულა გამოჭედა, მაგრამ „ატლეტასის“ დამარცხებას ეს არ ეყო.

სამაგიეროდ, „როკმა“ შიდაჩემპიონატში იმარჯვა. ერთი ეგ იყო, მეტოქედ სუსტი „პირიტა“ ჰყავდა და სხვა შედეგს არც არავინ ელოდა. ქართველმა გამთამაშებელმა ამ შეხვედრაში ძველი საქმე გაიხსენა და 5 შედეგიანი გადაცემა გაჩარხა, რასაც 14 ქულა და 2 მოხსნაც მიაყოლა.

ჩინებულად ითამაშა ვახტანგ ნაცვლიშვილმა, რომელიც ოპტიმალურ ფორმაში არაა, თუმც შეძლებისდაგვარად მაინც დიდად ეხმარება ფრანგულ „დიჟონს“. ვატომ ამჯერად 13 წუთი ითამაშა „გრაველინის“ წინააღმდეგ და 8 ქულასთან ერთად 3 მოხსნის მოგროვება შეძლო. სამწუხაროდ, „დიჟონი“ დამარცხდა, თუმც ცხრილში მე-6 ადგილს მაინც ინარჩუნებს.

უნდა ითქვას, რომ „გრაველინი“ დიჟონელებისთვის უხერხული მეტოქეა. სწორედ ეს გუნდი იყო, გასულ ჩემპიონატში „დიჟონი“ ფრანგული ჩემპიონატის მეოთხედფინალიდან რომ გამოაგდო.

წაუგებლად მიქრის „სიენა“, თუმც მის ჩვენებურ ფორვარდს საქმეები მთლად კარგად არ მისდის. ვლადიმერ ბოისამ პირველ ტურებში რიგიანად წაითამაშა, ახლა კი მოედანზე მისთვის უჩვეულოდ მცირე დროით გადის.

„სიენამ“ ამჯერად „ნაპოლი“ დაამარცხა, ოთხიდან ამდენივე მოგება დაუგროვდა და სერია A-ს „ბოლონიასთან“ ერთად ლიდერობს. ბოისამ კი 8 წუთი ითამაშა ნეაპოლელთა წინააღმდეგ და ოდენ 2-2 ქულა-მოხსნა მოაგროვა.

არც მანუჩარ მარკოიშვილს ულხინს. „მანომ“ სეზონი სტაბილურად კი დაიწყო, მაგრამ ბოლო მატჩებში შედეგიანობა შეუმცირდა. ადრიატიკის ლიგის გასულ ტურში „ოლიმპია“ შინ სერბულ „ჰემოფარმს“ შეხვდა და 68:73 დამარცხდა. მარკოიშვილმა 16 წუთი გაატარა მოედანზე და 4 ქულისა და 3 მოხსნის შეკოწიწება მოახერხა.

გადავინაცვლოთ ოკეანისგაღმა, სადაც სრულიად განსხვავებული შედეგიანობით თამაშობს ორი ქართველი — ზაზა ფაჩულია ქულუხვობს, ნიკა ცქიტიშვილი კი ძირითადად სკამზე ზის.

ზაზამ გასული კვირის საუკეთესო მატჩი თავის პირველ ნბა-ურ გუნდ „ორლანდოსთან“ ითამაშა — 26 წუთში 19 ქულა ნებისმიერ კალათბურთელს გაახარებდა და ფაჩულიაც ალბათ ძალიან კმაყოფილი დარჩა.

ცქიტიშვილი კი მეორედ გამოჩნდა მოედანზე „ნიუ იორკის“ მაისურით და ამჯერადაც 5 წუთი ითამაშა. რა გინდა, რომ ასე მცირე ხანში მოასწრო და ნიკამაც 2 მოხსნა და ერთი პასი შეაკოწიწა.

ბოლოს ვიქტორ სანიკიძისაც ვთქვათ, თუმც სალაპარაკო თითქმის არაფერია — „ვიკა“ „ესტუდიანტესის“ განაცხადში კი შეიყვანეს, მაგრამ მოედანზე ჯერაც არ გამოჩენილა.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ
გიორგი ცინცაძე	როკი	ესტონეთის ჩემპიონატი	პირიტა	შ	93:47	26	14	2	5
		ბალტიის ლიგა	ატლეტასი	ს	79:94	30	20	2	1
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	ადრიადიკის ლიგა	ჰემოფარმი	შ	68:73	16	4	3	1
ვლადიმერ ბოისა	სიენა	სერია A	ნაპოლი	შ	80:77	8	2	2	0
ვახტანგ ნაცვლიშვილი	დიჟონი	საფრანგეთის ჩემპიონატი	გრაველინი	ს	69:76	13	8	3	0
ტატო ვაშაკიძე	ნევეჟისი	ბალტიის ლიგა	ლიეტუვოს რიტასი	შ	57:76	არ უთამაშია			
ვიქტორ სანიკიძე	ესტუდიანტესი	ესპანეთის ჩემპიონატი	ალიკანტე	ს	67:76	არ უთამაშია			
ზაზა ფაჩულია	ატლანტა	საგამოფენო მატჩები	ორლანდო	ს	100:96	26	19	4	0
			ორლანდო	შ	88:109	არ უთამაშია			
			კლივლენდი	ს	90:88	29	12	8	1
ნიკოლოზ ცქიტიშვილი	ნიუ იორკი	საგამოფენო მატჩები	ბოსტონი	ს	89:113	5	0	2	1
			ბოსტონი	შ	116:108	არ უთამაშია			
ტაირონ ელისი	მინესოტა	საგამოფენო მატჩები	ჩიკაგო	ს	85:83	5	0	1	1
			ინდიანა	ს	91:98	არ უთამაშია			

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

ფული არის, ვითამაშოთ

დასავლეთ კონფერენციის კიდევ ერთმა მძლავრმა გუნდმა გაუხანგრძლივა კონტრაქტი ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს. „დალას მავერიკსის“ 201-სანტიმეტრიან ფორვარდ ჯოშ ჰოვარდს ძველი კონტრაქტი მომავალ წელს უმთავრდებოდა, ახლა კი მან და კლუბმა ახალი, 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის მიხედვითაც 40 მილიონის საზღაურად მოთამაშე 2011 წლამდე დარჩება „მავერიკსში“.

ჰოვარდი ნბა-ში თავის მეოთხე სეზონს იწყებს და ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდებოდა, მაგრამ მას თავად უთხოვია კლუბისთვის — თუ თქვენს სამომავლო გეგმებში ვჯდები და ჩემი დატოვება გადაწყვეტილი გაქვთ, მირჩევნია, ახლავე ვიცოდე ეს, მით უფრო, რომ თუკი ჩემზეა დამოკიდებული, არსად წასვლა არ მინდა, „მავერიკსში“ თავს მშვენივრად ვგრძნობო.

„მოხარული ვარ, რომ ეს საფიქრალი მოვიშორე — ამბობს ჰოვარდი — ახლა მთლიანად კალათბურთზე გადავერთვები და ჩემი მხრივ ყველაფერს ვიღონებ, რომ გუნდმა ჩემპიონობა მოიპოვოს.“

წინა სეზონში ჰოვარდი საშუალოდ 15,6 ქულასა და 6,3 მოხსნას უხვეჭდა ტეხასელებს და დირკ ნოვიცკის შემდეგ გუნდის მეორე ლიდერადაც ითვლებოდა. მისმა შედეგიანობამ კიდევ უფრო იმატა „პლეიოფში“, რაც „დალასს“ დასავლეთში ყველა შემხვედრის ძლევაში და ფინალშიგასვლაში დაეხმარა.

კოტე ყორშია

მწვრთნელმა მოილხინა

შაბათს კალიფორნიის შტატის დედაქალაქ საკრამენტოს შორიახლოს სპატრულო პოლიციამ მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვის გამო დააკავა „საკრამენტო კინგზის“ ახალი მთავარი მწვრთნელი ერიკ მუსელმანი.

მუსელმანს ახლდა ერთი მამაკაცი და ორი ქალბატონი, ყველანი ნასვამები, თუმც მათი ვინაობა არ გახმაურებულა. და დაკავებულები მეორე დღესვე გაათავისუფლეს, მიუხედავად იმისა, რომ მუსელმანი გვარიანად არღვევდა წესებს და მოძრაობის საპირისპიროდ მქროლი დიდ ხიფათს უქმნიდა თავსაც, თანამეინახეებსაც და სხვებსაც.

ამერიკაში საკმაოდ ხშირია სპორტსმენთა დაკავების შემთხვევები, როგორც ნასვამ მდგომარეობაში, ასევე ნარკოტიკების გავლენის ქვეშ მანქანის მართვის დროს. აი, მწვრთნელები კი იშვიათად იქცევენ პოლისმენთა ყურადღებას. „საკრამენტოს“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა, 41 წლის მუსელმანმა იმ დღეს საგამოფენო მატჩში „იუტა ჯაზი“ დაამარცხა და ალბათ ეს აღნიშნა.

ელისს მგლის ტყავი გააძვრეს

კვირას „ჩიკაგოსთან“ თამაშის შემდეგ „მინესოტას“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ გუნდიდან ორი მოთამაშე გაუშვა — პოლ შირლი და ტაირონ ელისი.

შირლი იქით იყოს და ელისის ბედი ჩვენთვის სულ ერთი არაა — საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი ტაირონ ელისი დიდი მონდომებით ცდილობდა „მინესოტაში“ დარჩენას, მაგრამ „მგლებმა“ დროებითი კონტრაქტი • გარანტირებულად არ უქციეს და თითქმის ერთთვიანი დაკვირვება-გამოცდების შემდეგ გუნდიდან დაითხოვეს.

ელისმა 2 ოქტომბერს გააფორმა „მინესოტასთან“ დროებითი კონტრაქტი, რაც იმის წინაპირობა იყო, რომ თუ იგი ფხას გამოიჩენდა და კლუბის ხელმძღვანელებს დაინტერესებდა, ერთწლიან ხელშეკრულებას დაიმსახურებდა, თუმცა...

ელისმა სამ საგამოფენო მატჩში ითამაშა „მგლის ტყავით“, რაც მთლიანობაში 15 წუთი და ორი კინკილა ქულა შეადგინა. „ტაი“ (მინესოტელებმა ელისს მეტსახელიც შეარქვეს) გაცილებით შედეგიანი იყო ლას ვეგასის საჩაფხუტლო კემპზე, სადაც მან საქართველოში ჩამოსვლამდე ითამაშა. იქ ელისი საშუალოდ 24 წუთს ოამაშობდა და 8 ქულასთან ერთად, 4,2 მოსხნასაც აგროვებდა.

მაშ ასე, ელისი უგუნდოდ დარჩა და სავარაუდოდ კვლავ ბებერ კონტინენტს მოაშურებს, სადაც მას უფრო იცნობენ და აფასებენ კიდეც.

ირაკლი პერტაია



ᲒᲐᲖᲗᲐᲠᲘ ᲙᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ჯარჯი ზვიადაური და ზაზა კედელაშვილი ბუდაპეშტმა დააფიქრა

საგარეჯო მესამეს და სამართალს ელის

ძიუდოს კლუბი „საგარეჯო“ ბუდაპეშტში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატიდან ბრინჯაოსთი დაბრუნდა. შოთა ხაბარელის გუნდმა ოქროს შანსი რუსულ „იავარა ნევასთან“ ბრძოლაში დაკარგა — თოთხმეტი შეხვედრის ჯამში სამქულიანი სხვაობით წააგო. მარცხის მიზეზებზე დაკონკრეტებას არ ვაპირებთ, მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე შევჩერდებით — „საგარეჯოს“ ორმა ლიდერმა, ზაზა კედელაშვილმა და ჯარჯი ზვიადაურმა მათთვის უცხო წონებში იჭიდავეს და ჯამში ოთხი შესაძლებლობიდან ოდენ ერთი ქულა აიღეს. გუშინ ჯარჯი და ზაზა რედაქციაში გვესტუმრნენ და ბუდაპეშტურ ამბებზე უფრო დაწვრილებით გვიამბეს

ზაზა კედელაშვილი: თბილისში ძალიან გულდაწყვეტილი დავბრუნდი. ჩემპიონობაზე ვფიქრობდით და მესამე ადგილზეღა გავედით. მგონი, საკმარისი საფუძველია ხასიათის გასაფუჭებლად, მაგრამ ამაზე მეტად ჩემმა წარუმატებლობამ გამამწარა. ჯობდა, ტურნირზე საერთოდ არ წავსულიყავი. მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე მიღებული ტრავმა ბოლომდე ვერ მოვიშუშე და ოპტიმალურ ფორმამდეც ბევრი მაკლია. თავის ტკივილები ახლაც მაწუხებს. შეკრებაზე თავს ძალას ვატანდი და შეძლებისდაგვარად ვიტვირთებოდი, მაგრამ რამდენიმე დღე მაინც გამიცდა. 73 კილოგრამში მარტო მე რომ არ ყოფილიყავი განაცხადში, ტატამზე ალბათ აღარ გავდოდი. ასეთ დღეში არასოდეს ყოფილვარ. გენადი ბალოდიდი მართლაც ძლიერი ბიჭია, მაგრამ ბრძოლის თავი რომ მქონოდა, სულ ცოტა, ერთ ქულას მაინც ავუღებდი.

ჯარჯი ზვიადაური: 100 კილოგრამში რომ უნდა მეჭიდავა, წინასწარ ვიცოდი. რა თქმა უნდა, ჩემს წონაში გამოსვლა მერჩივნა, მაგრამ ეს გუნდური ტურნირი იყო და მისი ინტერესებიდან გამომდინარე გახდა საჭირო 100-ში ანაცვლება. სულაც მძიმე წონაში რომ გავემწესებინე მწვრთნელს, იქაც თავს დავდებდი და ბოლომდე დავიხარჯებოდი. საბრძოლო ჟინი ზაზას შემართებამ კიდევ უფრო გამიძლიერა. ჯერ წინასატურნირო შეკრებაზეც ვერ იყო კარგად, მერე ბუდაპეშტში ჩასვლისთანავე მოიწამლა და საშინელ დღეში ჩავარდა, მაგრამ მაინც ბრძოლისთვის იყო განწყობილი და აქეთაც კი გვაგულიანებდა. გუნდში ისეთი განწყობა იყო, წაგება არაფრით არ გვეკუთვნოდა. სამწუხაროდ...

ზაზა: „იავარა ნევამ“ ალალად გვაჯობა. იყო რამდენიმე მომენტი, როცა მსაჯი რუსების სასარგებლოდ შეცდა, მაგრამ ჯამში არაობიექტურობის გამო არ წაგვიგია. მთავარი მიზეზი უიღბლობაა. დავით ქევხიშვილს რომ წინასატურნირო შეკრებაზე ტრავმა არ მიეღო, 73-ში აუცილებლად ჩვენ ვიმარჯვებდით. მე 66-ში გავიდოდი და ალბათ ცოტა უკეთესად მაინც ვიჭიდავებდი. რუსულ კლუბში მყოფმა ერეკლე კოპალიანმა მითხრა, მაგომედ ჯაფაროვს ძალიან ეშინია შენთან შეხვედრისო. ვერ ვიტყვი, რომ ამ მიზეზის გამო აუცილებლად მოვუგებდი, მაგრამ ფსიქოლოგიურ განწყობას ძიუდოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ირანელ არაშ მირესმაილს კი რა დაემართა, დღესაც ვერ გამიგია. შეკრებაზე 73-კილოგრამიან ხალხსაც პანტაპუნტით ამარცხებდა, უნგრეთში კი... მისი უშედეგობა ჩვენთვის ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო.

ჯარჯი: რუსებს პირველ რაუნდში 3:2 მოვუგეთ. იმ მომენტში ვერავინ იფიქრებდა, მოვლენები ასე ცუდად თუ განვითარდებოდა. სამწუხაროდ, უპირატესობა სწრაფად დავთმეთ და თვალის დახამხამებაში წავაგეთ. „იავარა ნევამ“ ფინალის საგზური სწორედ ჩემი მარცხის შემდეგ გაინაღდა. რუსლან გასიმოვის ძლევა მეორედაც შემეძლო, მაგრამ შეცდომა დავუშვი და იქვე დავისაჯე. საწყენია, მაგრამ რას ვიზამ, სპორტში ასეთი რამ ხშირად ხდება.

ზაზა: სეზონი სრულდება. ჩასატარებელი მხოლოდ ევროპის გუნდური ჩემპიონატი დარჩა, მაგრამ მე ვერ ვიჭიდავებ, მკურნალობას ვაპირებ — იანვრიდან ოლიმპიადის საოლიცენზიო ციკლი იწყება და მინდა, იქამდე საბოლოოდ გამოვჯანმრთელდე. პეკინის საგზურისთვის აუცილებლად ჩემს წონაში — 66 კილოგრამში ვიბრძოლებ. წლეულს კარგი სეზონი მქონდა და „საგარეჯოს“ სახელითაც რომ მეჩემპიონა, უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი. არა უშავს, ამჯერად მესამე ადგილს დავჯერდეთ, პირველი მომავალ წელს იყოს.

ჯარჯი: „საგარეჯო“ სულ რაღაც ორი წლის კლუბია. ორ ევროპრველობაზე გამოვედით და ორჯერვე ფინალურ ეტაპზე ვიჭიდავეთ. ასეთი შედეგი ბევრი ათწლიანი და ოცწლიანი კლუბისთვისაც შესაშურია, მაგრამ ჩვენთვის არანაირად. ორი იმედგაცრუება დიდი გამარჯვებით უნდა დავაგვირგვინოთ. რაც შეეხება პირად კარიერას, ისევ 90 კილოგრამში გავაგრძელებ. მართალია, ჯერ 81-ის დარ შედეგებს ვერ ვაჩვენებ, მაგრამ ნელ-ნელა ვეჩვევი. იმედია, მალევე ავუღებ ალღოს და ძველ წონაში დაბრუნებაზე აღარ ვიფიქრებ.

ოთარ მაღლაკელიძე

მუსლიმები ითხოვენ, სხვები კამათობენ

რამადანმა რუსებიც დააფიქრა

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების ვადების გადატანასთან დაკავშირებული დავა-კამათი გრძელდება.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადის ვადები მაჰმადიანთა წმინდა თვე რამადანს ემთხვევა, რის გამოც მუსულმანები თამაშების განრიგის შეცვლას ითხოვენ. ამას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და ზოგი პიროვნება ეწინააღმდეგება. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვნება არაა რუსეთშიც, რომელიც რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მაგალითად, რუსეთის მუფთების საბჭოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი გულნუ გაზიევი ამბობს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დაუსაბუთებლად უარობს ოლიმპიური თამაშების ჩატარების ვადების გადატანასო.

„ოლიმპიური თამაშების სამი ათასზე მეტი მონაწილე, ჩვეულებრივ, მუსულმანური ქვეყნების წარმომადგენელია. ამ ხალხს თუ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცემა, სამყარო გაითიშება — ამბობს გულნუ გაზიევი — თანამედროვე პირობებში ეს არა მხოლოდ არაობიექტური და არაეთიკურია, არამედ უბრალოდ, პროვოკაციულიც“.

გაზიევი იმასაც დასძენს, რომ ჯერ კიდევ საკმაო დროა იმისთვის, რათა ოლიმპიადის ვადების კორექტირება მოხდეს. ოლიმპიადის გადატანის იდეას არ ემხრობა რუსეთის მხატვრულად ტანმოვარჯიშეთა მთავარი მწვრთნელი ირინა ვინერი — იგი დარწმუნებულია, რომ რელიგია და სპორტი უნდა გაიმიჯნოს. ელენა ვინერმა „ეხო მოსკვას“ ეთერში თავისი პოზიციის განსამტკიცებლად თქვა, რომ რელიგია ნებას იძლევა, მაგალითად, არ დაიცვან მისი ესა თუ ის წესი, როცა კაცი გზაშია.

არც ერთ რელიგიას არ შეუძლია, სპორტული შეჯიბრებებისთვის ხელის შშლა — თავის მხრივ დარწმუნებულია რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის მეთაური მიხეილ მამიაშვილი:

„ოლიმპიური თამაშები ეს უდიდესი ღონისძიებაა. ამიტომაც არც ერთ რელიგიას არ ძალუძს, მას ხელი შეუშალოს. ჩვენს გუნდში საკმაოდ არიან ღრმადმორწმუნენი, მუსულმანებიც და მართლმადიდებლებიც, მაგრამ ეს მათი გაუცხოებისა და ერომანეთისგან გაქცევის საბაბს არ იძლევა“.

მამიაშვილი იმასაც დასძენს, რომ ოლიმპიური თამაშების ვადების გადატანა ლოგიკური გაგების ჩარჩოებს სცილდება.

საბჭოთა ჰოკეის ყოფილი ვარსკვლავი ვიაჩესლავ ფეტისოვი, რომელიც რუსეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელობს, დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და ლონდონის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი მუსულმანური ქვეყნების თხოვნას ადეკვატურად უპასუხებენ და პრობლემას გადაწყვეტენ. ამასთან, იგი ამბობს, რომ ოლიმპიური თამაშების გადატანის საკითხი უდროო დროს წამოჭრეს:

„არ ვიცი, რამდენად რეალურია ოლიმპიადის გადატანა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც სპორტის მეშვეობით ცდილობს სხვადასხვა ეროვნების, კონფესიებისა და კანის ფერის მქონე ადამიანთა გაერთიანებას, გაგებით განიხილავს ამ საკითხს და აწონილ-დაწონილ გადაწყვეტილებასაც მიიღებს“.

ავთანდილ ბყვიშელი

ქალაქთა ოლიმპიური ლტოლვანი

იტალიის პარლამენტმა მოიწონა ქვეყნის დედაქალაქის განაცხადი, რომელიც 2016 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლო კონკურსში მონაწილეობას ეხება. ამასთან, პარლამენტმა პრემიერ რომანო პროდის მთავრობისგან ფინანსური გარანტიების უზრუნველყოფაც მოითხოვა. შიდაკონკურსში რომის მეტოქე მილანი იყო, რომელმაც თავისი კანდიდატურა ამ ზაფხულს მოხსნა.

ქალაქებმა 2016 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ საკონკურსო განცხადება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს 2007 წლის ზაფხულამდე უნდა წარუდგინონ, ხოლო მასპინძლის ვინაობა 2009 წელს გაირკვევა.

შეგახსენებთ, რომ 1960 წელს რომმა ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა.

ამასობაში ბერლინის მერმა კლაუს ვოვერაიტმა განაცხადა, რომ გერმანიის დედაქალაქი 2020 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ იბრძოლებს. ვოვერაიტი ამ ზაფხულს ფიქრობდა, რომ ბერლინის ოლიმპიური ამბიციები 2016 წელს დაუკავშირდებოდა, მაგრამ მერე ოცნება 2020 წლისოვის გადაიტანა. მან ეს იმით ახსნა, რომ რაკი 2012 წლის ოლიმპიადა ლონდონში ტარდება, მომდევნო, 2016 წლის თამაშების ევროპაში გამართვის შანსები ნაკლებია.

„ჩვენ მზამზარეული ინფრასტრუქტურა გვაქვს და მეტროს ან ახალი ავტოსტრადების მშენებლობა ათენივით არ გვჭირდება“ — თქვა ბერლინის მერმა.

აღსანიშნავია, რომ ბერლინს სამოშავლო გეგმებში კონკურენციას ჰამბურგიც უწევს, გერმანიის ქალაქებმა კი ოლიმპიურ თამაშებს ორჯერ უმასპინძლეს: 1936 წელს ბერლინმა და 1972 წელს მიუნხენმა.

ავთანდილ ბყვიშელი

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ბათუმი. 19-29 ოქტომბერი

ნახევარი მსოფლიო ჯერ ჩვენია

ბათუმში მიმდინარე ნორჩთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ექვსი ასაკობრივი კატეგორიიდან ქართველი მოჭადრაკეები სამში ყოჩაღობენ.

თოთხმეტწლამდელ ვაჟებში საუკეთესონი ჯერჯერობით ირაკლი ჯანიაშვილი და ლევან ბრეგაძე არიან. ხუთი ტურის შემდეგ მათ 4,5-4,5 მოგროვეს და ცხრილს ლიდერობენ კიდევ.

მეხუთე ტურში იმარჯვა თორმეტწლამდელებში მოასპარეზე მარიამ დანელიამ და 4,5 ქულით ისიც პირველ ადგილზე აღზევდა.

ასევე 4,5 ქულა აქვს თექვსმეტწლამდელ მერი ეორჟოლიანს და ისიც პირველ ადგილზე აცხადებს პრეტენზიას.

ჩემპიონატი 28-ში დასრულდება და იმედია, ქართველები პოზიციებს კიდევ უფრო განიმტკიცებენ.

ლაშა გეგეჭკორი

სარეიტინგო ადი-ჩადი

გუშინ გამოქვეყნებულ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალ რეიტინგებში ჩვენი სადევისთასო ნაკრების ლიდერმა ირაკლი ლაბაძემ, რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, მიუხედავად უთამაშებლობისა, მაღლაც აიწია და დაბლაც ჩაინაცვლა — განთესვის რეიტინგში ირაკლიმ ორი პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა და 253 ქულით 163-ე ადგილზე ავიდა, ხოლო საჩემპიონო რბოლაში პირიქით, ერთი საფეხურით დაბლა დაიწია და ახლა 33 ქულით 118-ეა.

ლაბაძის თანაგუნდელი ლადო ჩიხლაძე მხოლოდ განთესვის რეიტინგში ფიგურირებს და წინა კლასიფიკაციასთან შედარებით სამი ადგილით დაბლა დაეშვა — 56 ქულით 483-ე საფეხურზეა.

ქალთა კლასიფიკაციაში, კერძოდ კი განთესვის რეიტინგში კვლავაც ათი ჩვენებურია. მაკა ჩახნაშვილმა ორი პოზიცია დაკარგა და ახლა 183 ქულით 147-ე ადგილზეა. 73 ქულით კვლავაც 304-ეა ანა ტატიშვილი, ხოლო სოფო მელიქიშვილმა ექვსი ადგილით დაბლა დაიწია და 64,5 ქულით 324-ე პოზიცია უჭირავს. სამაგიეროდ 7 საფეხბურით მაღლა, 587-ე ადგილზე აიწია სალომე დევიძემ, ვისაც 21,75 ქულას აქვს. მხოლოდ ერთი ადგილით, მაგრამ მაინც წინ წაიწია სოფო შაფათავამაც და 15,25 ქულით 692-ე პოზიციას უწია. ეკა გორგოძემ, ვისაც კვლავაც 12 ქულა აქვს, სამი საფეხური დათმო და 765-ე ადგილზე ჩაინაცვლა, ხოლო ათასეულში მყოფმა კიდევ ერთმა ქართველმა მანანა შაფაქიძემ ექვსი ნაბიჯი გადადგა წინ და 8,25 ქულით 889-ე ადგილს უწია.

ათასეულს ძირმა კიდევ სამი ჩვენებურია: თეონა ცერცვაძემ 12 პოზიცია დაკარგა და 5,25 ქულით 1090-ე ადგილზე ჩაინაცვლა, მარიამ ქურდაძემ 2,75 ქულით ორი საფეხურით დაბლა, 1339-ეზე დაიხია, ხოლო ია ჯიქიამ ექვსი პოზიცია დაკარგა და ახლა 1,5 ქულით 1466-ე ადგილზეა.



გუშინდელი დოლბანდაძის ფოტო

კაცები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) ---------- 7870
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) ---------- 4270
3. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) ---------- 2900
4. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) ---------- 2845
5. ენდი როდიკი (აშშ) ---------- 2705
6. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) ---------- 2650
7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) ---------- 2190
8. ტომი რობრედო (ესპანეთი) ---------- 2175
9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) ---------- 2090
10. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) ---------- 2080
11. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) ---------- 2061
12. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) ---------- 1750
13. ტომი ჰაასი (გერმანია) ---------- 1740
14. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) ---------- 1565
15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) ---------- 1555
16. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) ---------- 1465
17. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) ---------- 1355
18. იარკო ნიემინენი (ფინეთი) ---------- 1340
19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) ---------- 1315
20. გასტონ გაუდიო (არგენტინა) ---------- 1245

საჩემპიონო რბოლა

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) ---------- 1474
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) ---------- 854
3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) ---------- 479
4. ენდი როდიკი (აშშ) ---------- 463
5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) ---------- 445
6. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) ---------- 427
7. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) ---------- 411
8. ტომი რობრედო (ესპანეთი) ---------- 410
9. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) ---------- 377
10. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) ---------- 372
11. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) ---------- 349
12. ტომი ჰაასი (გერმანია) ---------- 333
13. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) ---------- 316
14. დავიდ ფერერი (ესპანეთი) ---------- 286
15. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) ---------- 275
16. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) ---------- 268
17. იარკო ნიემინენი (ფინეთი) ---------- 267
18. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) ---------- 263
19. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) ---------- 259
20. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) ---------- 216

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. ამელი მორესმო (საფრანგეთი) ---------- 3741
2. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) ---------- 3473
3. მარია შარაპოვა (რუსეთი) ---------- 3337
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) ---------- 2468
5. ნადია პეტროვა (რუსეთი) ---------- 2286
6. კიმ კლაისტერსი (ბელგია) ---------- 2110
7. ელენა დემენტიევა (რუსეთი) ---------- 1963
8. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) ---------- 1913
9. პატი შნიდერი (შვეიცარია) ---------- 1708
10. დინარა საფინა (რუსეთი) ---------- 1416
11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) ---------- 1391
12. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) ---------- 1187
13. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) ---------- 1120
14. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) ---------- 1087
15. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) ---------- 1063
16. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) ---------- 1010
17. ანსტასია მისკინა (რუსეთი) ---------- 1000
18. ლინდსი დევენპორტი (რუსეთი) ---------- 980
19. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) ---------- 923
20. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) ---------- 922

საჩემპიონო რბოლა

1. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) ---------- 3473
2. მარია შარაპოვა (რუსეთი) ---------- 3102
3. ამელი მორესმო (საფრანგეთი) ---------- 3022
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) ---------- 2668
5. ნადია პეტროვა (რუსეთი) ---------- 2029
6. ელენა დემენტიევა (რუსეთი) ---------- 1944
7. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) ---------- 1926
8. კიმ კლაისტერსი (ბელგია) ---------- 1860
9. პატი შნიდერი (შვეიცარია) ---------- 1616
10. დინარა საფინა (რუსეთი) ---------- 1442
11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) ---------- 1305
12. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) ---------- 1211
13. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) ---------- 1124
14. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) ---------- 1065
15. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) ---------- 1022
16. ანასტასია მისკინა (რუსეთი) ---------- 1001
17. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) ---------- 976
18. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) ---------- 931
19. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) ---------- 930
20. შაჰარ პირი (ისრაელი) ---------- 888

ფედერერ-ეკორდები

ის შეუჩერებელი და საუკეთესოა — შეიძლება, ყველა დროის საუკეთესო არა, მაგრამ ერთ-ერთი უდიდესი რომ არის, ამაზე, ორი აზრი არ არსებობს.

როჯერ ფედერერის რეკორდებზე საუბარი უკვე ყოველ კვირას გვიწევს და ისეთი პირი უჩანს, კარგა ხანს გავაგრძელებთ.

ახლა კი უშუალოდ რეკორდებზე — კვირას მადრიდის მასტერსის მოგებით შვეიცარიელმა გენიოსმა წლეულს მეათე ტიტული და მეოთხმოცე მატჩი მოიგო. „მხიარული როჯერი" პირველი ჩოგბურთელია ივან ლენდლის შემდეგ, ვინც 10 და მეტი ტიტულის მოპოვებას 3 წელია, ზედიზედ ახერხებს.

ეს ფედერერისთვის კარიერაში მოგებული მეთორმეტე მასტერსი აღმოჩნდა, რითაც ალპელმა დიდ პიტ სამპრასს გადაასწრო. შვეიცარიელს ახლა მხოლოდ ანდრე აგასი უსწრებს თავისი 17 მასტერსით.

კარიერის განმავლობაში ფედერერს არსებული მასტერსის 9 ტურნირიდან 6-ზე უმარჯვია — ინდიან უელსში, მაიამში, ჰამბურგში, კანადაში, ცინცინატისა და მადრიდში. კიდევ ორის ფინალში იყო — წლეულს მონტე კარლოსა და რომის მასტერსების მოსაგებად მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა დააკლდა. ხოლო მეცხრე, პარიზის მასტერსი კი, დიად ალპელს შეუძლია, ორიოდე კვირაში შემატოს თავის კოლექციას.

განთესვის რეიტინგში ფედერერმა უპრეცედენტო 7870 ქულა დაგროვა, რაც საუკეთესო შედეგია 1973 წლიდან, ანუ იქიდან, როცა ეს რეიტინგი საერთოდ შეიქმნა. აქვე შეგახსენებთ, რომ ფედერერმა წლეულსვე დაამყარა საჩემპიონო რეიტინგის, ანუ ერთ სეზონში დაგროვილი ქულების რეკორდი — ამჟერად 1474-ია და უეჭველად კიდევ გაიზრდება.

უკვე 142 კვირაა, რაც „მხიარული როჯერი" რეიტინგს შეუცვლელად ლიდერობს. ამ მაჩვენებლით ის მხოლოდ ივან ლენდლსა (157 კვირა პირველობდა) და ჯიმი კონორსს (160 კვირა) ჩამორჩება.

2004 წლიდან მოყოლებული ფედერერმა 237 მატჩი მოიგო და მხოლოდ 15 დათმო. ამასთანავე, მხოლოდ რაფაელ ნადალია, ვისაც ამ პერიოდში შვეიცარიელი ერთზე მეტჯერ დუმარცხებია (ისე, ესპანელმა მზეჭაბუკმა 5-ჯერ დაჯაბნა ალპელი).

მადრიდული ტრიუმფი 43-ე გამოდგა ფედერერის კარიერაში, რითაც მოგებული ტურნირების რაოდენობით როჯერმა ყველა დროის სიაში მე-12 პოზიციაზე აინაცვლა. ათეულში მოხვედრისთვის შვეიცარიელს ექვსი ტიტული სჭირდება — მის წინ ტომას მუსტერი (44 ტიტული), როდ ლეივერი (47 ტიტული) და ბორის ბეკერი (49 ტიტული) დგანან.

ესპანეთი მეთხუთმეტე ქვეყანაა, სადაც ფედერერს უმარჯვია.

„მგონი, დღეს მართლა საუკეთესო ვარ, თუმც არანაირად ყველა დროის — ეს რომ მოვახერხო, არსებული რეკორდები უნდა დავამხო, იქამდე კი ძალიან დიდი გზაა... ჩემთვის პატივია, პიტ სამპრასს რომ გადავასწარი, ვფიქრობ, ამ დონეზე გაჩერებას კიდევ 4-5 წელიწადი მაინც შევძლებ — მეტიც, ვთვლი, რომ ასე კარგად ფიზიკურად მომზადებული არასოდეს ვყოფილვარ. ახლა უკვე ხუთსეტიანი მატჩებიც არ მაშინებს" — როგორც ხედავთ, ფედერერი შეჩერებას სულაც არ გეგმავს და მხოლოდ ახალი სიმაღლეებისკენ იყურება.



ბოლოს ერთი კურიოზი, რომლის გამოც ფედერერი კინაღამ ცალთვალა დარჩა — მისმა მადრიდელმა ოპონენტმა ფერნანდო გონსალესმა,რომელსაც ფინალში წაგების გამო სულაც არ უდარდია, შვეიცარიელს მივულოცავო და მისი შამპანურით გაწუწვა მოინდომა. თუმც გონსალესს ცოტა ზედმეტი მოუვიდა და შამპანურის საცობი შვეიცარიელს პირდაპირ თვალში მოარტყა.

„მეგონა, თვალი ბუდიდან გადმომივარდა. კორტზე ვიყურებოდი, იქნებ დავინახო სად გდია-მეთქი, თუმც ტკივილმა ძალევე გამიარა. ისე, ჩემზე მეტად, მგონი, ფერნანდოს შეეშინდა. მთლიანობაში, მაგრად ვიმხიარულეთ" — ტრადიციულად იუმორში გაატარა ყველაფერი „მხიარულმა როჯერმა".

ბაბა ლომაშვილი

AFP სან პაულოდან

ორგზის ალონსო მადლობად დაიღვარა

ფერნანდო ალონსომ მადრიდულ „ასთან“ ინტერვიუში ემოციები ვერ დამალა. ესპანელმა ჩემპიონმა აღნიშნა, რომ მიუხედავად წელს განცდილი ბევრი სირთულისა, ჩემპიონის ტიტული ლეგენდარული მრბოლის დამარცხებით მოიპოვა. „შუმახერთან გამარჯვებას განსაკუთრებული ფასი აქვს“ — განაცხადა ალონსომ

— გილოცავთ ფერნანდო. თქვენ ზედიზედ მეორედ გახდით ჩემპიონი...

— კვირა ფანტასტიკურად დასრულდა. იცით, რაც მოხდა, ჯერ ბოლომდე ვერ ვგრძნობ. მეორე ჩემპიონობის აღნიშვნა ახლა ჩემთვის საოცარი გრძნობის ტოლფასია. 25 წლისამ უკვე მეორე ტიტული მოვიპოვე, ფანტასტიკურია, სხვა რა მეთქმის... სანამ ცოცხალი ვიქნები, ამ დღეს არასდროს დავივიწყებ. ჩემპიონობისთვის მერვე ადგილზე გასვლაც მყოფნიდა, თუმცა რბოლის მეორე პოზიციაზე დასრულება შესანიშნავი გახლავთ. რბოლის დაწყებამდე ჩემს თავს ვუთხარი, რომ სიმშვიდის შენარჩუნება იყო საჭირო — რაიმე გაუთვალისწინებელი და არანორმალური არ უნდა მომხდარიყო. პირველივე წრეებზე შემატყობინეს, რომ შუმახერმა გახეთქილი საბურავის გამო მეოცე ადგილზე გადაინაცვლა და მითხრეს, ვადაჭარბებული სიჩქარით აღარ მევლო. მთელი რბოლის განმავლობაში ძრავის შესაძლებლობათა მხოლოდ 80 პროცენტი გამოვიყენე. დასასრულისკენ ვიფიქრე, ბატონი უფრო მეტად შემიტევდა, თუმცა ჩემი მანქანა მოსახვევებში უფრო სწრაფი იყო და მეტოქემ ვერაფერი გააწყო.

— რას ნიშნავს თქვენთვის წლევანდელი ჩემპიონატი?

— ვფიქრობ, რომ ყველაფერი სამართლიანად დასრულდა. ჩემს გუნდს განვლილი ერთგული წლებისა და განსაკუთრებით ამ სეზონში მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდი. მათ და მიშლენის ხალხმა დამიმტკიცეს, რომ გამარჯვება სუფთა თამაშით მიიღწევა, ეს კი როგორც სპორტში, ისევე ცხოვრებაში მთავარია. კი, ჩვენს შორის გარკვეული უთანხმოებებიც არსებობდა, თუმცა ბოლო სამი რბოლა სრულ ერთსულოვნებაში ჩავატარეთ. ეს ფორმულა 1-ში ჩემი ოჯახია, რომელიც ფერნანდო ალონსოს გვერდით ყველაზე მძიმე წუთებში იდგა. ასევე მინდა ჩემს ნამდვილ ოჯახსაც მადლობა ვუთხრა, რამდენიმე რბოლის განმავლობაში მათ საშინლად ინერვიულეს... სეზონი ძალიან რთული გახლდათ და წლევანდელ მოვლენებს ვერაფრით დავივიწყებ. ჩემი გუნდისა და ოჯახის შემწეობით ჩემპიონი გავხდი. ვიცოდით, სად რა უნდა გაგვეკეთებინა.

— და შუმახერზე გამარჯვება...

— ბედნიერები ვართ, შუმახერთან ერთად რბოლა რომ მოგვიწია. მას თავის ცხოვრების ახალ ეტაპზე ოჯახთან ერთად ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. მიხაელ შუმახერი დიდი ჩემპიონია, მას მსოფლიო არასდროს დაივიწყებს. შუმახერთან მოგებას სხვანაირი ფასი აქვს. ვამაყობ, ორი წლის განმავლობაში ზედიზედ რომ დავამარცხე.

— მომავალი კვირის განმავლობაში რას გააკეთებთ?

— წავალ და ენსტონში ფაბრიკის ყველა თანამშრომელს მადლობას ვეტყვი. შაბათ-კვირას კი გამარჯვებას ოვიედოში ოჯახთან და ესპანელ ფანებთან ერთად აღვნიშნავ.

— რა შეგიძლიათ უთხრათ გულშემატკივრებს, რომლებიც თქვენს გამარჯვებას მთელს ესპანეთში ზეიმობენ?

— უზარმაზარი მადლობა. ბრაზილიაში გამარჯვებით დიდი სიხარული განვიცადე, მაგრამ ეს წელს ესპანეთის დიდ პრიზზე, შინ, გულშემატკივრების თვალწინ ტრიუმფს ვერ შეედრება. თანამემამულეები მუდამ მქომაგობდნენ, თუმცა მათი მხარდაჭერა განსაკუთრებით შესამჩნევი ჩემპიონატის მძიმე პერიოდებში ხდებოდა. ვიცი, რომ ფანები ჩემი გამარჯვებით ძალიან კმაყოფილი არიან და ესპანეთში ლამაზ ფიესტასაც გამართავენ... მადლიერი ვარ იმათი, ვინც არ დაიზარა და მანქანით ბარსელონაში, ან კიდევ სხვა ქალაქებში მოვიდა ჩემს სანახავად. ასევე იმათიც, ტელევიზორებს დროის ნებისმიერი მონაკვეთისას რომ მიუსხდებოდნენ ხოლმე. იმათაც მადლობას მოვახსენებ, ფორმულა 1 ესპანელი მრბოლის წარმატების გამო უფრო რომ შეიყვარეს. მინდა, ეს ჩემპიონობა ჩემს მხარდამჭერებს მივუძღვნა.

— თქვენი აზრით, შეძლებთ შუმახერივით ბევრი ტიტულის მოგებას?

— 25 წლისამ ორი უკვე მოვიგე და ეს დაუჯერებელია. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ იმდენ ტიტულებს მოვიგებ. არ ვიცი, ფორმულა 1-ში ამდენ ხანს თუ გავჩერდები. ამჟამად მარტო რბოლებზე ვფიქრობ, თუმცა შემდეგ...

— 2007 წელს უკვე „მაკლარენის“ წევრი იქნებით...

— „მაკლარენმა“ რამდენიმე რბოლა, მაგალითად მონაკოსა და უნგრეთში კარგად ჩაატარა და თუ მუყაითად ვიშრომებთ, 2007-ში საკმაოდ ძლიერები ვიქნებით. თუ კვარცხლბეკზე რეგულარულად ვიქნებით, ტიტულისთვის რატომ არ უნდა ვიბრძოლოთ? ადგილის გამოცვლის დრო მოვიდა, ჩემი ახალი ბანაკი კი სუსტი არ გახლავთ, ვგრძნობ, რომ მომავალი სამი სეზონი „მაკლარენის“ ბატონობით ჩაივლის.

იქ, სადაც იგებდა სენა

უმი ჩუმად არ წასულა

კვირას ბრაზილიური დიდი პრიზით დასრულდა „სამეფო რბოლების“ 57-წლიან ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ჩემპიონატი.

საპირველფორმულო „შაპიტომ“ კონტინენტიდან კონტინენტზე თითქმის რვათვიანი ხეტიალი სან პაულუს „ინტერლაგუშზე“ ბრწყინვალე სპექტაკლით დააგვირგვინა. ფინალს კი სამი გმირი ჰყავს — ზედიზედ მეორედ გაჩემპიონებული 25 წლის ფერნანდო ალონსო, მშობლიურ სან პაულუში პირველად, თანაც დუბლით გამარჯვებული, ასევე 25 წლის ფელიპე მასა და, რა თქმა უნდა, შვიდგზის გვირგვინოსანი, 37 წლის მიხაელ შუმახერი, რომელმაც თავისი 16-სეზონიანი ზღაპრული კარიერის დამამთავრებელი რბოლა ფანტასტიკურად ჩაატარა და ქარავნის ბოლოდან ფინიშთან მეოთხე მიიჭრა.

შეგახსენებთ, ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის წინ ალონსო ათი ქულით უსწრებდა შუმახერს და ზედიზედ მეორე ტიტულის მოსაპოვებლად სამერვეადგილო კინკილა ქულაც ჰყოფნიდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ რბოლას სწორედ „შუმინატორი“ მოიგებდა. ამდენად, ნანდოს ძალიანაც არ გამოუდვია თავი და მისთვის ჩვეული, უემოციო-უშეცდომო ჯირითით მშვიდად მიგორდა ფინიშზე მეორე ადგილამდე და ოთხწლიან კარიერაში მეორე გვირგვინამდე.

აღსანიშნავია, რომ ალონსომ ჩემპიონობა შარშანაც მისთვის ბედნიერ ბრაზილიაში მოიპოვა და ფორმულა 1-ის ყველაზე ახალგაზრდა ტრიუმფატორიც გახდა, გარდა ამისა, ის რბოლისა და კვალიფიკაციის უმრწემესი მომგებიცაა.

სან პაულუში კვალიფიკაცია ფერარელმა ფელიპემ მოიგო. მიხაელს, რომელიც ორ საპოულე სერიაში უსწრაფესი იყო, მესამე, დასკვნით ნაწილში გამოსვლისას საწვავის ტუმბომ უმტყუნა და ერთი წრის გავლაც ვერ შეძლო. ამდენად, სტარტზე მხოლოდ მეათე იდგა და მისი ისედაც მიზერული საჩემპიონო შანსი სულაც ნულამდე დაეცა. ბუნებრივია, ალონსო თავისი მეოთხე პოზიციითაც კმაყოფილი იყო, კონკურენტზე ხომ სამი რიგით წინ იწყებდა რბოლას.

მასამ დაძვრისთანავე მეწინავეობა არავის დაანება, მიხაელმა კი ისე გააფთრებით დაიწყო, რომ პირველივე წრეზე სამი მეტოქე ჩამოიტოვა. მაგრამ მალე, რენოელ ჯანკარლო ფიზიკელას გასასწრებად მორიგი იერიშისას, მის „ფერარის“ უკანა მარცხენა საბურავი გაუსკდა. შუმი ძლივს მიბობღდა ბოქსებამდე და ბორბლებშეცვლილი, მხოლოდ მეოცე დაბრუნდა რბოლაში.

უარესი უიღბლობა, თანაც 16-წლიანი განსაცვიფრებელი კარიერის მიწურულს, როგორი ამბავია, მაგრამ ის ხომ მიხაელ შუმახერია, ბრძოლაზე ხელი არ ჩაიქნია და ერთ საათში იმდენი გასწრება მოახერხა, მთელ სეზონს რომ ეყოფოდა, ფინიშამდე მართლაც რომ იფრინა და ბოლო წრეზე, ესეც ეტყობა და სიმბოლურია, ტრეკის რეკორდიც დაამყარა.

სან პაულუში კი, 13 წლის წინ „ჯადოქარ“ აირტონ სენას გამარჯვების შემდეგ, ახლაღა აყეერდა ბრაზილიის ჰიმნი, იმავე სანპაულელ ფელიპე მასას პირველი მშობლიური ტრიუმფის აღსანიშნავად.

გია ახალაძე

AFP სან პაულოდან

ავტორბოლის მეფე ფეხბურთის მეფემაც გააცილა

სირბილი იყო დაცემა

მძლეოსნობაში ეს კვირადღე მარათონული გამოვიდა. უფრო მოკლე დისტანციებზე მორბენალებისთვის თუ სხვა მძლეოსნებისთვის სეზონი დამთავრებულია. გუშინწინ ორი დიდი მარათონული რბენა გაიმართა — ჩიკაგოსა და ვენეციაში. ჩიკაგოდან დავიწყოთ:

ცნობილმა მარათონელმა, კენიელმა რობერტ ჩერიოტმა ბოსტონში გამარჯვებას ჩიკაგოში პირველობაც მიაბა, თუმცა კი დიდი ჯაფა დაადგა და გამარჯვება იოლად არ მისცემია. ჩერიოტი ფინიშამდე დაახლოებით 10 კილომეტრით ადრე მოწყდა ჯგროს და წინ განავარდება მოინდომა, მაგრამ მას თანამემამულეები — დანიელ ნჯენგა და ჯიმი მუინდი აედევნენ და თავი ერთადერთად და განუმეორებლად არ აგრძნობინეს. თუმცა კი მუინდიმ ჩერიოტის ტემპს ვერ გაუძლო და სამეულში პირველმა მოუკლო ფეხს. ნჯენგა კი თითქმის ბოლომდე კუდში მიჰყვებოდა ლიდერს და ვინ იცის, გულში გამარჯვების იმედიც ულვივოდა, მაგრამ გადასწრება ვეღარ მოახერხა და მეორე ადგილს დასჯერდა, რითაც კიდევ უფრო განიმტკიცა მარად მეორის რეპუტაცია — ჩიკაგოს მარათონში, ბოლო ხუთი წელია, ის მესამედ იკავებს კვარცხლბეკის მეორე საფეხურს.

ნჯენგამ დისტანციას 2 საათი, 7 წუთი და 40 წამი მოანდომა და 5 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს.

თავისთავად ცალკე სათქმელია ჩერიოტის ამბავი, მით უფრო, რომ მან ფინიში, ასე ვთქვათ, არატრადიციული მეთოდით გადაკვეთა. ამ რბოლის ერომა აღშწერმა რბენის დასასრულს ლამაზი უწოდა. თავად განსაჯეთ, არის თუ არა ლამაზი — ბოლო ასეულ მეტრებზე ერთიანად გასავათებულმა ჩერიოტმა, როგორც იქნა ბოლომდე მიირბინა, ოღონდ ზედ ფინიშთან გული შეუღონდა, წონასწორობა დაკარგა, ასფალტზე მოწყვეტით დაეცა და საფინიშო ლენტიც თან წაიყოლა. გულწასულ მორბენალს რამდენიმე წუთი იქვე ასულიერებდნენ, შემდეგ კი გოლფის ელმობილით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ჩერიოტის მოწინააღმდეგეებმა ამ მღვრიე წყალში თევზის დაჭერა მოინდომეს და აყაყანდნენ — მას ბოლომდე არ გადაუკვეთია ფინიში და გამარჯვება არ ეკუთვნისო. მეორე ადგილზე გასულმა ნჯენგამაც თქვა — რობერტი რომ წაიქცა, მივხვდი, რომ მე ვიყავი გამარჯვებული, ახლა კი ვიღაცეები მოდიან და მეუბნებიან, პირველი კი არა, მეორე ხარო.

ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ გამარჯვებულად ჩერიოტი გამოცხადდა. ის ახლაც საავადმყოფოშია. ექიმები ამბობენ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ჩიკაგოს მარათონის ქალთა განაკვეთი არაკენიური გამოვიდა. პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა — ბერანე ადერე (ეთიოპია, 2 სთ, 20 წთ, 47 წმ), გალინა ბოგომოლოვა (რუსეთი, 2:20.47) და ბენიტა ჯონსონი (ავსტრალია, 2:22.36).

რაც შეეხება ვენეციის მარათონს, იქ ქალებშიც და კაცებშიც კენიელებმა იფეხმარდეს და ძირითად კონკურენტ იტალიელებთან დავაში მოიპოვეს ვენეციური პრიზი.

კაცთა რბოლაში პირველივე კილომეტრებზე დაწინაურდა 9-კაციანი გუნდი (6 კენიელი და 3 იტალიელი). ყველა ფავორიტი ამათში ერთია და დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა, მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ხელსაყრელი ბუნებრივი მიზეზების გამო ტემპი არ იყო ძალიან მაღალი. ბოლო ხუთ კილომეტრზე ორი პოტენციური გამარჯვებული გამოიკვეთა — კენიელი ჯონათან კიპრორირ კოსგეი და იტალიელი ალბერტო და ჩეკო. ეს უკანასკნელი ბევრს ცდილობდა, წინ გაჭრილიყო და კენიელი ჩამოეტოვებინა, თუმც ძალა კოსგეიზე ადრეულად გამოეცალა და პირველობა ამ უკანასკნელს დარჩა. კოსგეიმ 42,125 კილომეტრი 2 საათში, 10 წუთსა და 18 წამში დაფარა და პირადი რეკორდი დაამყარა. დი ჩეკო მას 3 წამით ჩამორჩა, ხოლო მესამე ადგილზე გასულმა კენიელმა პილ ლოკირამ გამარჯვებულთან 42 წამი წაგო.

ქალებში პირველ-მეორე ადგილი კენიელებს — ლენა ჩერიოტსა და ტეგლა ლორუპეს შეხვდათ. მესამე გახლდათ იტალიელი ივანა იოზია.

კოტე ყორღია

ფინიშის ხაზთან რობერტ ჩერიოტი მისასვენებელი გახდა

ფლენსბურგში ცალმხრივი მოძრაობაა

ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტმა სკოპიეს „მეტალურგმა“, რომლის შემადგენლობაშიც ქართველი ხელბურთელი რევაზ ჭანტურია თამაშობს, ჯგუფში მეოთხე მატჩიც წაგო და პლეი ოფში გასვლის შანსი საბოლოოდ დაკარგა.

მაკედონიის ჩემპიონმა მორიგი შეხვედრა გერმანიაში ჩაატარა ფავორიტ „ჰანდეიტთან“. ფლენსბურგის „სპორტალეში“ 6 000 ქომაგი მივიდა თავისიანების მხარდასაჭერად. რეზოს გუნდმა ყოჩაღად დაიწყო და მეექვსე წუთზე იგებდა კიდეც — 4:2, მაგრამ მერე მასპინძლებმა აიწყვიტეს და შეხვედრაც ცალმხრივ მოძრაობას დაემსგავსა. „ფლენსბურგმა“ მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტა — 23:12.

ჭანტურია სკოპიელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი იყო — ოთხჯერ გაუტანა მეტოქეებს, მთელ სალიგო ტურნირში კი უკვე 13 გოლი დაუგროვდა.

გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლა ვადამდე ორი ტურით ადრე უკვე გაინაღდეს ჯგუფის პირველადგილოსანმა კლუბებმა.

ჩემპიონთა ლიგა. ვაქეები

ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური

A ჯგუფი

პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 34:26 ბოსნა (ბოსნია)

პოვარსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი) 30:46 ვესპრემი (უნგრეთი)

პორტლენდი 8 ქულა, ვესპრემი 6; ბოსნა 2; ბისტრიცა 0

B ჯგუფი

კადეტენ შაფჰაუზენი (შვეიცარია) 30:37 სიუდად რეალი (ესპანეთი)

პიკ სეგედი (უნგრეთი) 28:23 მეშკოვო (ბელარუსი)

სიუდად რეალი 8, პიკ სეგედი 5; შაფჰაუზენი 3; მეშკოვო 0

C ჯგუფი

ვისლა (პოლონეთი) 25:31 კოლდინგი (დანია)

შამბერი (საფრანგეთი) 34:28 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)

კოლდინგი 8, შამბერი 6; ვისლა 2, ცრვენა ზვეზდა 0

D ჯგუფი

ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) 29:24 ზაგრები (ხორვატია)

ფლენსბურგი (გერმანია) 43:24 მეტალურგი (მაკედონია)

ფლენსბურგი 86, ზაგრები 4, ჩეხოვსკიე მედვედი 4, მეტალურგი 0

E ჯგუფი

ბანიკ კარვინა (ჩეხეთი) 26:50 კილი (გერმანია)

გუდმე (დანია) 33:17 კონსტანცა (რუმინეთი)

კილი 8, კონსტანცა 4, გუდმე 4, ბანიკ კარვინა 0

F ჯგუფი

ფრამ რეიკიავიკი (ისლანდია) 30:33 პივოვარნა ლაშკო (სლოვენია)

სანდფიორდი (ნორვეგია) 35:37 გუმერსბახი (გერმანია)

გუმერსბახი 8, პივოვარნა ლაშკო 6, სანდფიორდი 2, ფრამი 0

G ჯგუფი

გოლდ კლუბ კოზინა (სლოვენია) 32:25 პანელინიოსი (საბერძნეთი)

ჰამარბი (შვედეთი) 31:34 ბარსელონა (ესპანეთი)

ბარსელონა 8, გოლდ კლუბი 4, ჰამარბი 2, პანელინიოსი 2

H ჯგუფი

პორტოვიკ იუჟნი (უკრაინა) 24:27 მონპელიე (საფრანგეთი)

A1 ბრეგენცი (ავსტრია) 35:35 ვალიადოლიდი (ესპანეთი)

ვალიადოლიდი 7, მონპელიე 6, პორტოვიკ იუჟნი 2, A1 ბრეგენცი 1

რეგულარული ჩემპიონატი

22 ოქტომბერი

ლოს ანჯელესი 2:3 ანაჰაიმი

2:0 0:1 0:1 0:0 (0:1 გულიტეგი)

1:0 ვიშნოვსკი (4), 2:0 კამალერი (17), 2:1 შენონი (23), 2:2 პერერი (35)

აღმოსავლეთ კონფერენცია

ატლანტა	თ	მ	წ	წო	შ	ქ
ნიუ ჯერსი	8	4	3	1	23:28	9
პიტსბურგი	7	4	3	0	21:20	8
აილენდერსი	8	3	3	2	22:26	8
რეინჯერსი	8	4	4	0	30:32	8
ფილადელფია	8	1	6	1	15:33	3
ჩრდილო-აღმოსავლეთი						
ბუფალო	8	8	0	0	42:22	16
ტორონტო	9	4	2	3	31:30	11
მონრეალი	7	4	1	2	26:22	10
ოტავა	7	3	4	0	19:17	6
ბოსტონი	7	2	4	1	15:29	5
სამხრეთ-აღმოსავლეთი						
ატლანტა	8	6	1	1	28:16	13
ფლორიდა	9	4	4	1	26:31	9
კაროლინა	9	3	4	2	28:32	8
ტამპა	8	4	4	0	22:20	8
ვაშინგტონი	7	2	2	3	24:26	7

დასავლეთ კონფერენცია

ცენტრი	თ	მ	წ	სწ	შ	ქ
ნეშვილი	8	4	3	1	28:26	9
ჩიკაგო	8	4	4	0	32:29	8
სენტ ლუისი	8	3	3	2	20:27	8
დეტროიტი	8	3	4	1	20:21	7
კოლუმბუსი	6	2	3	1	17:22	5
ჩრდილო-დასავლეთი						
მინესოტა	8	7	1	0	26:14	14
ვანკუვერი	9	5	3	1	23:22	11
ედმონტონი	7	5	2	0	20:14	10
კოლორადო	8	3	3	2	24:27	8
კალგარი	7	2	4	1	15:21	5
წყნარი ოკეანე						
ანაჰაიმი	8	6	0	2	24:17	14
დალასი	8	7	1	0	27:14	14
სან ხოსე	8	6	2	0	29:20	12
ლოს ანჯელესი	9	3	4	2	21:23	8
ფინიქსი	8	2	6	0	16:33	4

თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები

ბომბარდირები: მაქსიმ აფინოგენოვი (ბუფალო) 14 (5+9); მარიან ჰოსა (ატლანტა) 13 (9+4); მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 13 (3+10); იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 13 (2+11); მარტინ ჰავლატი (ჩიკაგო) 13 (7+6); კრის დრური (ბუფალო) 12 (9+3); ბრაიან ჯიონტა (ნიუ ჯერსი) 12 (7+5); ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 12 (5+7)

გოლეადორები: დრური, ჰოსა 9-9; ალექსანდრ სემინი (ვაშინგტონი), ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი) 8-8; ჰავლატი, დერსი ტაკერი (ტორონტო), ჯიონტა 7-7

ასისტენტები: იაგრი 11; ნიულანდერი, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 10-10; რეი უიტნი (კაროლინა), აფინოგენოვი, ჯო ტორნტონი (სან ხოსე), დანიელ ბრირი (ბუფალო) 9-9

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge